ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## აფხაზეთის ოპოზიცია ხაჯიმბას ახალი პრეტენზიები წაუყენა



გვ.5

## 25 აგვისტოდან

აკა მორჩილაძე

## ძველი გულებისა და ხმლისა

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 2016 №201 (7127) ფასი: 50 თეთრი

# „ხელისუფლებამ გორის ტერაქტის ბრალდებით გასამართლებულები რუსეთს გადასცა“



დავით დარჩიაშვილი: გვ.3

„რუსეთისთვის ბაბაიას ძახილით, ევრაზიულ კავშირში აღმოვჩნდებით“

## „მაიმუნო ვირიშვილო, ჩამოდი!“

გვ.4

ნარმანიამ და გარემოსდამცველებმა ერთმანეთს ვირიშვილები ეძახეს



## სოსო რობაქიძე: „ქართულმა ოცნებამ“ დაპირება ვერ შეასრულა“



გვ.2

და სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ დაწყებულა



## კახა კუკავა: „სანდრა რულოვსი მეტ ხმას აიღებს, ვიდრე მისი პარტია“



„ბურჭულაძის ბლოკი არის ნაციონალური მოძრაობის სატელიტი“ გვ.4

## მამუკა კაციტაძე: „ცესკომ პირველი ტესტი ჩააბარა“

გვ.3



ISSN 1987-9385

გვ.4

კარლო კოპალიანი: „მარგველაშვილს რეფერენდუმის ამბავი ცუდად შეუტრიალდება“

## „ნაციონალები პარლამენტში ველარ მოხვდებიან“



# „ნაციონალები პარლამენტში ვეღარ მოხვდებიან“

შორენა მარსაგიშვილი



## კარლო კოპალიანი: „მარგველაშვილს რეფერენდუმის ამბავი ცუდად შეუტრიალდება“

რომელია ყველაზე ნაღდი სოციოლოგიური კვლევა, რა ბედი ელის ნაციონალებს და მარგველაშვილს, რომელი პარტიები მოხვდებიან ახალ პარლამენტში? – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კარლო კოპალიანი გვესაუბრება.

***– პრემიერმა კვირიკაშვილმა პრეზიდენტ მარგველაშვილს რეფერენდუმის არდანიშვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება დაუწუნა. აქამდე ისინი ერთმანეთს თითქმის ყველაფერში ეთანხმებოდნენ. თქვენი აზრით, დაიწყო მათ შორის დაპირისპირება?***

– გიორგი კვირიკაშვილის პოზიცია არის მისასალმებელი. მარგველაშვილმა კი რეფერენდუმთან დაკავშირებით უცნაური და უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. მან 200.000-ზე მეტ ადამიანს უარი უთხრა. საუბარია ამომრჩევლის 10%-ზე. მათი უპატივცემულობა მარგველაშვილს ძალიან ცუდად შემოუბრუნდება.

***– პრემიერმა კვირიკაშვილმა თქვა, რომ ქორწინებასთან დაკავშირებით ჩანაწერის საკითხი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გადაწყდება. ამბობს, რომ ხელისუფლება ამით დაინტერესებულია. თუ დაინტერესებული ხართ, ახლა რატომ არ იღებთ რაიმე გადაწყვეტილებას?***

– კარგად მესმის თუ როგორი დიდია დაინტერესება ამ საკითხის მიმართ. გამოვიდნენ ვიღაცები და გვითხრეს, პლებისციტი ჩაატარეთო. პლებისციტის ჩატარება შედეგს არ მოიტანს, რადგანაც ეს არის მხოლოდ აზრის დაფიქსირება და მას საკანონმდებლო ცვლილებები არ მოჰყვება. რეფერენდუმი სულ სხვა რამეა და მას მაღალი ლეგიტიმაცია აქვს.

კარგი იქნებოდა, პრეზიდენტს დაინიშნა რეფერენდუმი, მაგრამ არ დანიშნა და არაფერში არ გვჭირდება. ჩვენ უკვე მოვახდინეთ მისი ინიცირება, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობამ მოაწერა ხელი. რის შემდეგაც უკვე საჭირო იყო 113 ხმა, რომელიც კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საკმარისი იქნებოდა.

სამწუხაროდ, ამ პარლამენტში 113 ხმა არ შეგროვდა. ინიციატივა რომ ჩავარდნილიყო, ნაცებმა ბოიკოტი გამოაცხადეს.

***– ნაციონალებმა სულ სხვა მიზეზით არ გამოაცხადეს ბოიკოტი?***

– საქმე ის გახლავთ, რომ ნაციონალების რამდენიმე წევრი მზად იყო მხარი დაეჭირა ამ ინიციატივისთვის. ამიტომაც მოიმიზეზეს ბოიკოტი. ამ პარლამენტში ეს საკითხი ვერ გავიდა, მაგრამ ინიცირება დარჩა ინიცირებად და ის მომავალ პარლამენტში იქნება რეალიზებული.

***– ამისთვის ხომ საკონსტიტუციო უმრავლესობაა საჭირო?***

– საკონსტიტუციო უმრავლესობა ანუ 113 ხმაა საჭირო.

***– მერე გაიყვანთ მაგდენ კაცს პარლამენტში?***

– ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აუცილებლად მოვაგროვებთ 113 დეპუტატს. იმისაც გვჯერა, რომ მომავალ პარლამენტში ვერც 45 ნაციონალს ვიხილავთ. მესმის, რომ ეს მათთვის დიდი ტკივილი იქნება, მაგრამ როგორმე უნდა გადაიტანონ. მათ ადგილს საკანონმდებლო ორგანოში ჯანსაღი ძალები დაიკავებენ. მათთან




კონსენსუსის ნიადაგზე აუცილებლად მოხდება საკონსტიტუციო ცვლილება.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ის ჯანსაღი ძალები, როგორც მათ თქვენ უწოდებთ, მხარს დაუჭერენ ამ ინიციატივას?***

– ეჭვიც არ მეპარება, იმიტომ, რომ ამ საკითხს უამრავი მხარდამჭერი ჰყავს. როგორც უკვე გითხარით, ნაციონალების ნაწილიც კი მზად იყო მხარდასაჭერად.

***– თქვენ ამტკიცებთ, რომ მომავალ პარლამენტში ნაციონალები ვეღარ მოხვდებიანო. სოციოლოგიური კვლევებით კი, ისინი მხოლოდ 0,3% ჩამოგრჩებიან.***

– რომელ სოციოლოგიურ კვლევებზე მელაპარაკებით? ასეთი რამეების არასდროს მჯეროდა, მაგრამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჩატარებული კვლევის შემდეგ, საერთოდ ხელი ჩავიქნიე. სწორედ მაშინ ჩაიტარეს ამ ე.წ. მკვლევარებმა ხარაკირი – არჩევნებმა საპირისპირო შედეგები დადო. თარხნიშვილის მეუღლის ჩატარებული კვლევის არ მჯერა და მომკალით, თუ გინდათ.

ყველაზე სამართლიანი და კარგი კვლევა არის არჩევნები. დაველოდოთ 8 ოქტომბერს და ხალხი თავად იტყვის, ვის რამდენი პროცენტი აქვს.

***– თქვით, რომ პარლამენტში უფრო ჯანსაღი ძალები მოხვდებიანო და რომელ პარტიებს გულისხმობთ, რესპუბლიკელებს ხომ არა?***

– რა გინდათ ახლა, კაცო, რას ერჩით ამ რესპუბლიკელებს? მაგათაც შეიტანეს თავისი წვლილი 2012 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვებაში. ისინი ჩვენი ყოფილი თანამებრძოლები იყვნენ და მათზე ცუდს არ ვიტყვი.

***– მაგათზე ცუდს ნუ იტყვით და ჯანსაღი ძალები ვინ არიან, ის გვითხარით?***

– ეროვნული ძალები. საბედნიეროდ საქართველოში მრავლად არიან ქართულად მოფიქრალი და მოაზროვნე ძალები. მათ ვუწოდებ მე ჯანსაღ ძალებს.

***– ცოტანი არ არიანო ამბობთ და მრავალპარტიულ პარლამენტს ელოდებით?***

– ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. მოსახლეობა გადაწყვეტს, რამდენი პარტია მოხვდება პარლამენტში. ეს ის შემთხვევაა, როცა მართლა ყველაფერი ხალხის ნებაზე იქნება დამოკიდებული. ხომ ხედავთ, როგორ არჩევნებს ვატარებთ.

***– როგორს?***

– წარმოუდგენელ რაღაცებს ვაკეთებთ. ასეთი თავისუფლება არასდროს ყოფილა.

***– თუ წარმოუდგენელი თავისუფლებაა, რატომ ჩივის ოპოზიცია, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება ნაციონალების მეთოდებით ხდებაო.***

– რომელი ოპოზიცია ჩივის მაგაზე? ეგეთი რამე არსად არ ხდება და მე მსგავსი არაფერი გამიგონია.

***– ამის შესახებ თავისუფალი დემოკრატები ჩივიან.***

– ჩვენს ყოფილ თანამებრძოლებს არასწორი ინფორმაცია ექნებათ. გარწმუნებთ, რომ არჩევნების გაყალბებას არ ვაპირებთ. ამის გაკეთება უბრალოდ არაფერში არ გვჭირდება. არჩევნებს ისინი აყალბებენ, ვისაც მხარდაჭერა არა აქვს. „ქართულ ოცნებას“ კი ეს პრობლემა არ აქვს.

***– ოპოზიცია საპირისპიროს ამტკიცებს?***

– დაველოდოთ არჩევნებს და იქ ვნახავთ ყველაფერს.

***– მოდით, ისევ გიორგი მარგველაშვილს დავუბრუნდეთ, მან წინა კვირას განმარტა, თუ რატომ არ მოხსნა გრიფით საიდუმლო კონკრეტულ დოკუმენტებს. მისი თქმით, ის სწორად მოიქცა, რადგანაც პრეზიდენტებს ბოტოქსებზე გადახდილი ფულის გამო არავინ იჭერს.***

– ამ განცხადებას რა შეფასება უნდა გავუკეთო? გიორგი მარგველაშვილმა მშვენივრად იცის, რომ სააკაშვილს ბოტოქსის გამო არავინ არ ედავება. მასთან დაკავშირებით ბევრად უფრო სერიოზული ბრალდებებია.

***– 7 პიჯაკი და ერთი პალტო?***

– რა შუაშია 7 პიჯაკი და 1 პალტო? მარტო ეს ტანსაცმელი და ბოტოქსი რომ ყოფილიყო, მის წინააღმდეგ ვინ აღძრავდა საქმეს? თუ ასეთი სუფთაა, რატომ არ ჩამოდის საქართველოში. მას უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს კარგად იცის მარგველაშვილმა, მაგრამ რატომღაც ყველაფერი ბოტოქსის დონემდე დაჰყავს.

# სოსო რობაქიძე: „ქართულმა ოცნებამ“ დაპირება ვერ შეასრულა“

## და სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ დაწყებულა




ბუტა რობაქიძეს დღეს 31 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღის აღსანიშნავად, მის საფლავთან გარდაცვლილის ოჯახის წევრები, ახლობლები და პოლიტიკოსები შეიკრიბნენ.

ბუტა რობაქიძის მამის, სოსო რობაქიძის განცხადებით, ოჯახი დღემდე სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია.

როგორც მან „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, „ქართულმა ოცნებამ“ სამწუხაროდ, დაპირება ვერ შეასრულა და სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ დაწყებულა.

მისივე თქმით, ის მთავარ პროკურორს უკვე შეხვდა და შოთაძისგან მიიღო პირობა, რომ აღნიშნული საქმე ბოლომდე იქნება გამოძიებული.

**სოსო რობაქიძე:**

– მე შევხვდი ირაკლი შოთაძეს და მან მითხრა, რომ ეს საქმე ბოლომდე იქნება გამოძიებული. მე ვენდობი მას და ვიმედოვნებ, რომ ჩვენ, რასაც წლებია ვითხოვთ, დაკმაყოფილდება და დაისჯებიან როგორც შემსრულებლები, ისე დამკვეთები.

სამწუხაროდ, ამ დრომდე ჩვენ ვითხოვთ იგივეს, რასაც წლების წინ ვითხოვდით. სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ არაფერი გააკეთა სამართლიანობის აღსადგენად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს უამრავი მტკიცებულება, რომ ბუტა არის განზრახ მოკლული, მკვლელები ამ დრომდე არ დაუკავებიათ, ხოლო ყოფილი მაღალჩინოსნები კვლავ თავისუფლები არიან და სხვადასხვა ქვეყნებიდან მითითებებს გვაძლევენ.

ბუტა რობაქიძის საფლავთან ასევე იმყოფებოდა პრეზიდენტის საპარლამენტო მრჩეველი ანა დოლიძე.

ანა დოლიძის განცხადებით, ოჯახის წევრებს დღემდე არ აქვთ საკუთარი უფლებები აღდგენილი და მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლიანობის აღდგენა.

– ბუტა რობაქიძე არის სიმბოლო ძალადობრივი სისტემის, რომელიც არსებობდა ამ ქვეყანაში. დღეს მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს ბუტა და ის სისტემა, რასაც შეეწირა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი თანამებრძოლები დღემდე აგრძელებენ ბრძოლას სამართლიანობისთვის და მათი უფლებები კვლავ არ არის აღდგენილი.

ბევრ საქმეში არ არიან დამნაშავეები დასჯილი და ბევრი საქმე არ არის გახსნილი. მნიშვნელოვანია, გავაგრძელოთ მათი უფლებებისთვის ბრძოლა, – განაცხადა ანა დოლიძემ.

ბუტა რობაქიძე 2004 წელს, 23 ნოემბერს სპეცოპერაციის დროს გარდაიცვალა.

**ინტერპრესნიუსი**

# გიორგი მარგველაშვილი: „კონსტიტუცია არ არის მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტი“

– კონსტიტუცია არ არის მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტი, ის თანამედროვე ქვეყანაში ადამიანს სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ ობიექტად ქმნის. თავისუფალი ადამიანების მიერ შექმნილი თავისუფალი საზოგადოება სწორედ კონსტიტუციის სულისკვეთებაში იკვეთება

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომელიც კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით პროექტის „მე და კონსტიტუცია“ მონაწილეებს შეხვდა და დააჯილდოვა.

საქართველოს პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას ყველა მოქალაქეს მიულოცა კონსტიტუციის დღე. მისი თქმით, ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის.

**გიორგი მარგველაშვილი:**

– 21 წლის წინ საქართველოს პარლამენტმა მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ქართული სახელმწიფოსთვის – კონსტიტუცია. დოკუმენტი, რომელიც განაპირობებს ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს.

კონსტიტუცია, ალბათ, არ არის მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტი, იგი შესაძლოა, ბევრად უფრო მეტად არის ჩვენი საზოგადოების თანაცხოვრების, მშვიდობიანად განვითარების, მიზნების მიღწევის ძირითადი სახელ-



მძღვანელო.

ამ დოკუმენტის ირგვლივ ფუნქციონირებს სახელმწიფო ინსტიტუტები და არა მხოლოდ. ამ დოკუმენტში დაცულია ის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოში ადამიანს არა უბრალოდ სუბიექტად აქცევს სახელმწიფოს მშენებლობისა, არამედ ამ პროცესის მთავარ ობიექტად ქმნის.

თავისუფალი ადამიანის მიერ შექმნილი თავისუფალი საზოგადოება სწორედ ამ დოკუმენტის სულისკვეთებაში იკვეთება.

მისივე თქმით, 25 წლის წინ საქართველომ მიაღწია დამოუკიდებლობას და ახლა ამ გზას თავისუფლების მიმართულებით ვავითარებთ.

– სწორედ კონსტიტუციით, მისი პატივისცემით, ღრმა შესწავლით, ჩვენ ვადგავართ ამ გზას, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა პროექტში ჩართულ ახალგაზრდებს და ორგანიზაცია „დემოკრატიის ლაბორატორიას“, რომელიც იყო ამ პროექტის ორგანიზატორი.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა ძალიან საინტერესოდ იმუშავეს.

მისივე თქმით, ერთ-ერთმა მოსწავლემ, ნიკა ენუქიძემ, ანდროიდისთვის შექმნა კონსტიტუციის აპლიკაცია, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც იყენებენ.

ასევე პრეზიდენტის თქმით, 203-ე სკოლის მოსწავლეებმა შეიმუშავეს კონსტიტუციის ძირითადი ტერმინების ჟესტების ენით გადმოცემის სისტემა.

– ჩვენ გვქონდა ინიციატივა, რომ ეს დღე უქმედ გამოცხადდეს და ალბათ რაღაც კონკრეტულ მომენტში ჩვენ ამას მივაღწევთ, – განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, პროექტის „მე და კონსტიტუცია“ მიზანს კონსტიტუციის პოპულარიზაცია და ქვეყნის უმაღლესი კანონის შესახებ ცოდნის გაღრმავება წარმოადგენდა. პროექტში ჩართული იყო საქართველოს 500-მდე საჯარო და კერძო სკოლა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „ხელისუფლებამ გორის ტერაქტის ბრალდებით გასამართლებულები რუსეთს გადასცა“

შორენა მარსაგიშვილი

## „რუსეთისთვის ბაბაიას ძახილით, ევრაზიულ კავშირში აღმოვჩნდებით“

რატომ აღარ რეაგირებს ხელისუფლება მცოცავ ოკუპაციაზე, ვისში გაცვალეს გორში ტერაქტის მომწყობი პირები, ვის ინტერესებშია ტერაქტებზე საუბარი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი ესაუბრება.

***– გუშინ, 24 აგვისტოს, რუსებმა შიდა ქართლში კიდევ 6 ჰექტარი მიწა მიისაკუთრეს. ამაზე არც ხელისუფლებას და არც საზოგადოებას რაიმე განსაკუთრებული პროტესტი არ გამოუთქვამს. რა ხდება, ვეგუებით მცოცავ ოკუპაციას?***

– მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთელი ყურადღება უკრაინისკენ არის მიმართული, კრემლი არც ჩვენ გვივიწყებს. ყველაფერს აკეთებენ საქართველოს დასასუსტებლად და დასაბეჩავებლად, რათა შემდეგ უფრო იოლად გადაგვყლაპონ და მიგვაერთონ იმ თავის ევრაზიულ კავშირს. ამ ხელისუფლების პირობებში ეს საფრთხე სავსებით რეალურია.

ადრე თუ გვიან, რუსეთი თავის პოლიტიკას კრახით დაასრულებს. 21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია მეზობელი ქვეყნების დაპყრობა, მაგრამ სანამ რუსეთი კრახს განიცდის, ჩვენ შესაძლოა ევრაზიულ კავშირში აღმოვჩნდეთ. ამ ხელისუფლების უნიათობის წყალობით კიდევ ბევრი პრობლემის წინაშე დავდგებით.

„ქართულმა ოცნებამ“ არაერთხელ დაამტკიცა, რომ მათთვის უცხოა სახელმწიფოებრივი აზროვნება. ისინი პატივს არ სცემენ სახელმწიფო ინსტიტუტებს. ახლახან გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ გორში ტერაქტის მომწყობი პირები რუსებს გაუცვალეს.

***– 2005 წლის თებერვლის ტერაქტზეა საუბარი?***

– 2005 წლის 1 თებერვალს გორში მოხდა ტერაქტი. გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებამ ამ ტერაქტის მომწყობი პირები გაცვალა ჩვეულებრივ მოქალაქეებზე, რომლებსაც რუსები და ოსები კონფლიქტის ზონის სოფლებიდან ხშირად იტაცებენ.

***– ვიღაცა იტყვის, რომ ამ ადამიანების გათავისუფლებაც მნიშვნელოვანია.***

– მნიშვნელოვანი როგორ არ არის და კარგი იქნება თუ ხელისუფლება მათ დასაცავად უფრო ქმედით ზომებს გაატარებს. რაც შეეხება ტერაქტის მომწყობებს, მათ სამუდამო პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. ტერაქტის ბრალდებით გასამართლებული პირების ასე გაცვლა არ შეიძლება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ამ ხელისუფლებას საერთოდ არა აქვს წარმოდგენა, რა არის სახელმწიფო.

ღიმილით, თვალების პაჭუნით და რუსეთისთვის ბაბაიას ძახილით, სახელმწიფოს მართვა არ შეიძლება. ადრე თუ გვიან, ის აუცილებლად ჩამოგვეშლება. რუსეთს თუ არაფერს არ დაუპირისპირებ და მცოცავ ოკუპაციაზე ხმასაც არ ამოიღებ, ის, რა თქმა უნდა, გააგრძელებს საქართველოს ტერიტორიების მითვისებას.

ახლა ამ საგურამოს ე.წ. ტერაქტის თემა ააგორეს, თანაც ისეთი ფორმით, რომ რუსეთი კმაყოფილი დატოვეს. მთელი რუსული პრესა აჭრელებულია იმით, რომ უკრაინაში მებრძოლი ქართველი ლეგიონერები საქართველოში გაზსადენებს აფეთქებენ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ აქ რაღაც რუსული კვალი იკვეთება?***

– ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ რუსეთს სალაპარაკო მიეცეს, ანდა ეს შესაძლოა სულაც რუსეთის დაკვეთით არის გაკეთებული. რუსეთი დიდი ხანია ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ საქართველო ტერორისტული ქვეყანაა. „ქართული ოცნება“ ამ აზრის გამყარებას უწყობს ხელს. ასე თუ გაგრძელდა, სახელმწიფო არ შეგვრჩება ხელში.

***– საგურამოს არშემდგარი ტერაქტი ახსენეთ და რატომ მიეცა მას ასეთი კლასიფიკაცია. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, თუ მართლაც რაიმე მზადდებოდა ეს იყო დივერსიული აქტი. იხსენებენ 2006 წელს საქართველო-რუსეთის მაგისტრალური გაზსადენის აფეთქებასაც, რომელიც ტერაქტად არავის შეუფასებია?***

– ამას რა ახსნა უნდა მოეძებნოს? გამოდის, ქვეყანას სრული იდიოტები მართავენ. როდესაც ტერაქტთან დაკავშირებით კეთდება განცხადება, მასში სახელმწიფოს პირველი პირებიც არიან ჩართული. აქ პასუხისმგებლობა პირდაპირ გადადის პრემიერ გიორგი კვირიკაშვილზე. არაფორმალური პასუხისმგებლობა ივანიშვილზეა. ყველა საკითხზე სწორედ მასთან მიმდინარეობს კონსულტაციები.

ეს არის ან სრული იდიოტიზი, ან შეგნებული რუსული თამაში, რათა მოსკოვს მიეცეს სალაპარაკო და არჩევნების წინაც რაღაცები გააკეთოს.

***– რა უნდა გააკეთონ არჩევნების წინ?***

– ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. მერე დახატავენ სურათს ან გადაიღებენ ფილმს, რომ ამ ყველაფერში პოლიტიკური ოპოზიციაა დამნაშავე. სწორედ აქეთ მიჰყავთ საუბარი. ნორმალური ადამიანისთვის დაუჯერებელია, არ-



ჩევნების წინ, რაში უნდა აწყობდეს ოპოზიციას რუსეთ-სომხეთის მაგისტრალური გაზსადენის აფეთქება.

***– ჩვენთან ეს ბევრმა დაიჯერა და ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამ ყველაფრის უკან ნაციონალები დგანან.***

– არ მიკვირს. ჩვენთან არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ, რომ სანდრა რულოვსი ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა. ამტკიცებენ, რომ ის დახლზე დგას და ცხვრის ღვიძლივით ყიდის ადამიანის ორგანოებს. საზოგადოების ნაწილს ასეთი რამეების სჯერა. თავის დროზე გებელსმა თქვა, რაც უფრო დიდ ტყუილს იტყვი, მით უფრო დააჯერებ ადამიანსო. სამწუხაროა, რომ საქართველო ამის კარგი ლაბორატორია გამოდგა.

***– ზემოთ ფილმს გადაიღებენო თქვით და რას ფიქრობთ გოგა ხაინდრავას ფილმზე, რომელიც რამდენიმე დღეში უნდა გამოვიდეს. რეჟისორის განმარტებით, ეს იქნება ნაციონალების რეჟიმის მხილება.***

– ამ ფილმით საზოგადოების იმ ნაწილზე უნდათ გავლენის მოხდენა, რომელიც კრიტიკულ აზროვნებას გამორიცხავს, უჭირს განასხვავოს რეალობა მხატვრულ-პროპაგანდისტული ნაწარმოებისგან. ხალხის ამ კატეგორიის დამუშავება რუსული სპეცსამსახურების ტაქტიკით მიმდინარეობს და სადამდეც გასდის, იქამდე იყენებენ ამ მეთოდს.

***– ისევ რუსეთის მცოცავ ოკუპაციას დავუბრუნდები. თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება თუ არაფერს დაუპირისპირებს, გააგრძელებენო. რა უნდა დაუპირისპიროს მათ ქართულმა მხარემ. ძალის დაპირისპირება ალბათ არ გამოვა.***

– ამ ხელისუფლებისგან არაფერს არ მოველი. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს იმუნიტეტი. ერთი მხრივ, რუსული პროპაგანდის მიმართ, რომელსაც სჭირდება განათლება, რაც საკმაოდ გრძელვადიანი საქმეა.

რაც შეეხება კიდევ 6 ჰექტარის შემოღობვას, ნორმალური ხელისუფლება რომ გვყავდეს, ამაზე საერთაშორისო დონეზე მოაწყობდა სკანდალს. სხვა თუ არაფერი, ოფიციალურ თბილისს გაეროს უშიშროების სხდომის გამართვა უნდა მოეთხოვა. „ქართული ოცნება“ კი რუსეთისთვის ბაბაიას ძახილს აგრძელებს.

კონფლიქტის ზონაში ქართული სპეცდანაყოფების საგუშაგოები იყო განთავსებული. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჯერ მათი დასუსტება დაიწყეს, შემდეგ რამდენიმე მათგანი გააუქმეს კიდევაც. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ამ საგუშაგოების აღდგენა-გაძლიერება.

***– ეს საგუშაგოები შეაჩერებს რუსებს?***

– ქართული სახელმწიფოს მიმართ რაღაც პატივისცემა მაინც გაუჩნდება, მაგრამ რა პატივისცემაზეა ლაპარაკი, როცა ტერაქტის ბრალდებით გასამართლებულებს რუსებს უცვლიან. ასეთი საქმის გამკეთებელ ხელისუფლებას, როგორც ტერორისტებს, ისე უნდა მოექცე.

# მამუკა კაციტაძე: „ცესკომ პირველი ტესტი ჩააბარა“

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ახალ მემარჯვენეებსა და პატრიოტთა ალიანსს საარჩევნო ნომრები წილისყრის გარეშე მიანიჭა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ცესკომ 9 ხმით მიიღო.

როგორც სხდომიდან გამოსულმა რესპუბლიკური პარტიის წევრმა თამარ ხიდაშელმა განაცხადა, ცესკომ სასათბურე პირობები შეუქმნა აღნიშნულ ორ პარტიას და ეს გააკეთა კანონის მოთხოვნების დარღვევით.

რესპუბლიკელები აღნიშნული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავენ.

– ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება, რომელიც საარჩევნო სუბიექტებს წილისყრის გარეშე ანიჭებს არჩევნებში მონაწილეობის ნომერს, არის კანონთან შეუსაბამო. ეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს პოლიტიკურ სუბიექტებს, რადგან ამ პოლიტიკურ სუბიექტებს 8 სექტემბრამდე შეეძლებათ კამპანიის წარმოება უკვე განსაზღვრული ნომრით, მაშინ, როდესაც სხვა საარჩევნო სუბიექტებს, და ასეთი მხოლოდ რესპუბლიკური პარტია არაა, მოგვიწევს დაველოდოთ ცესკოს სხდომას, რომელიც 8 სექტემბრამდე ნებისმიერ დღეს გაიმართება და მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება საშუალება წინასაარჩევნო კამპანიის დროს მივუთითოთ ჩვენი რიგითი ნომერი.

ამ გადაწყვეტილებაში ცალსახად ჩანს და ვხედავ პოლიტიკურ გავლენას პარტია „ქართული ოცნების“ მხრიდან, სასათბურე პირობები ჰქონდეთ პარტია პატრიოტთა ალიანსსა და ახალ მემარჯვენეებს, – განაცხადა თამარ ხიდაშელმა.

◆ ◆ ◆

– ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით პირველი ტესტი ჩააბარა სამართლიანობის დაცვის კუთხით

ამის შესახებ ჟურნალისტებს ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ განუცხადა.

მისი შეფასებით, პარტიას ეკუთვნოდა ის საარჩევნო ნომერი, რომელიც ცესკომ დღეს მიანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პარტია ცდილობდა, მათი კუთვნილი ნომერი წაერთმიათ.

**მამუკა კაციტაძე:**

– სამართლიანად გვეკუთვნოდა ის ნომერი, რომელიც მონიჭებული გვქონდა და ცდილობდნენ ზოგიერთი პარტიები, რომ წაერთმიათ კუთვნილი ნომერი და კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავეგდეთ, მაგრამ ცესკომ შეძლო და ეს ბარიერი არგუმენტებით გადალახა.

9 წევრმა დაუჭირა მხარი სამართლიან გადაწყვეტილებას, რითაც გვექნება წყნარი და მშვიდი საშუალება, რომ უკვე მონიჭებული ნომრით გავაგრძელოთ საარჩევნო კომპანია.

ერთი რამ არის საყურადღებო ჩემთვის ამ სხდომაზე, კერძოდ, ვინც მხარი არ დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას, ისინი იყვნენ ნაციონალური მოძრაობა, რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები. დასკვნები აქედან საზოგადოებამ გამოიტანოს, – განაცხადა კაციტაძემ.

კითხვაზე, მიიღებს თუ არა მონაწილეობას პირველი ნომრით ბლოკი, რომელშიც პაატა ბურჭულაძე, ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე და ახალი მემარჯვენეები არიან გაერთიანებული, კაციტაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისას გადაწყდება.




– როდესაც რეგისტრირდება საარჩევნო ბლოკი და ამისთვის ჩვენ გვაქვს კიდევ ორ დღე, ჩამოვყალიბდეთ, თუ რა ნომრით იქნება საარჩევნო ბლოკი არჩევნებში წარმოდგენილი. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს ნომერი და შეგვიძლია არ გამოვიყენოთ, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს იენს სტოლტენბერგი ეწვევა

საქართველოს 7-8 სექტემბერს ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგიც ეწვევა, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, ეს არის ჩრდილოატლანიკური საბჭოს რიგით მეოთხე ვიზიტი საქართველოში, რაც არის ჩვენი ქვეყნისადმი უპრეცედენტო მხარდაჭერის და პარტნიორობის გამოხატულება.

– ამ ვიზიტის დროს შეფასდება საქართველოში განხორციელებული რეფორმები, როგორც თავდაცვისუნარიანობის ამაღლების სფეროში, ასევე დემოკრატიის მიმართულებით და ეკონომიკური განვითარების კუთხით, რომელიც შეადგენს ჩვენი სამოქმედო გეგმის შემადგენელ კომპონენტებს.

ვიზიტის ფარგლებში ასევე განვიხილავთ იმპელემენტაციას იმ გადაწყვეტილებების, რომე-



ლიც ვარშავის სამიტზე მიიღეს. ვარშავის სამიტზე კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაფიქსირდა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შეუქცევადობა, ასევე საქართველოს პროგრესი დემოკრატიული რეფორმების კუთხით, თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით.

ასევე განისაზღვრა ნაბიჯები პრაქტიკული თანამშრომლობის, რათა საქართველოს თავდაცვისუნარიანობა კიდევ უფრო ამაღლდეს და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო დაჩქარდეს, – განაცხადა ჯანელიძემ.

როგორც მინისტრმა განმარტა, საქართველოს გააჩნია ყველა ის პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა ნატო-ში ინტეგრაციისა და წევრობისთვის.

– ჩვენ მაქსიმალურად ვიყენებთ ამ ინსტრუმენტებს და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიზიტის ფარგლებში ვისაუბრებთ ამ ინსტრუმენტების შესახებ, – აღნიშნა ჯანელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# კახა კუკავა: „სანდრა რულოვსი მეტ ხმას აიღებს, ვიდრე მისი პარტია“

## „ბურჭულაძის ბლოკი არის ნაციონალური მოძრაობის სატელიტი“

ნონა ცაბაძე

ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა აფასებს.



***– ბატონო კახა, ნაციონალური მოძრაობა და რესპუბლიკური პარტია თქვენი და კიდევ რვა პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნას ითხოვდნენ. აღნიშნულ საკითხზე სასამართლო პროცესიც გაიმართა. რით დასრულდა ის?***

– ეს სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო და სასამართლომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. თუმცა ამას სამართლებრივად აქვს თავისი მორალური და ეთიკური მხარე. პოლიტიკურ ბრძოლაში უამრავი სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, ზოგი ნებადართული, ზოგი შეუფერებელი, მათ შორის საქართველოშიც, რომელიც ახალი დემოკრატიის ქვეყანაა, მაგრამ მე არ მახსოვს, ასეთი უღირსი საქციელი ვინმეს ჩაედინოს, რომ მოეთხოვოს პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნა. ეს შევარდნაძის და სააკაშვილის დროსაც არავის უკადრია.

***– მხოლოდ ეს ორი პარტია აყენებს ამ მოთხოვნას?***

– დიახ, მხოლოდ ნაციონალები და რესპუბლიკელები, რაც საკმაოდ სკანდალურია. სკანდალურია ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რომელიც ფაშისტური პარტიაა, რომელიც თვითონ უნდა იყოს აკრძალული საქართველოში, ჩვენ რომ ნორმალური მთავრობა გვყავდეს. ხოლო რესპუბლიკური პარტიის მხრიდან, უბრალოდ, კომიკურია ასეთი ტიპის განცხადებები, იმიტომ, რომ ეს არის პარტია, რომელიც თავს ლიბერალურს უწოდებს და იმავდროულად ითხოვს, რომ პოლიტიკური ოპონენტები რეგისტრაციიდან იქნენ მოხსნილი.

***– რა მოტივი დაასახელეს, რატომ უნდა მოიხსნათ რეგისტრაციიდან?***

– მოტივად მოიყვანეს ის, რომ გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, თურმე მე არ ვარ თავისუფალი საქართველოს უფლებამოსილი თავმჯდომარე! ვინც იცის პოლიტიკა, იმან იცის, რომ მე ვარ ამ პარტიის დამფუძნებელი და თავმჯდომარე, რომ არასდროს ამ პარტიას სხვა თავმჯდომარე არ ჰყოლია. არც შიდა დავა და კონფლიქტები არა გვაქვს. თუმც ენას ძვალი არა აქვს.

***– როგორ მოხდა ისე, რომ ნაციონალური მოძრაობის და რესპუბლიკელების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა?***

– ეს არ არის გასაკვირი. ეს ორი პოლიტიკური ძალა, გვახსოვს ჩვენ, რომ პარლამენტშიც ძალიან კარგად თანამშრომლობდა ერთმანეთთან და დღესაც ძალიან ბევრ საკითხში მათი მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. რაც მთავარია, ისინი იმართებიან ერთი და იგივე ცენტრიდან, ოკეანის გაღმიდან და ამ ცენტრს ცდილობენ დაუმტკიცონ თავისი ერთგულება. განსაკუთრებით დღეს, როდესაც რესპუბლიკური პარტია უკვე აღარ არის კოალიციის წევრი.

***– ახალ საყრდენს ეძებენ?***

– ტრადიციულად ეს არის პარტია-პარაზიტი, რომელიც ეძებს მფარველს. გამსახურდიას დამხობის შემდგომ, ისინი იყვნენ შევარდნაძის პარლამენტში და იქ მიიღეს მანდატები, შემდგომ სააკაშვილის ბლოკთან ერთად გავიდნენ, ახლა ივანიშვილთან. არასდროს ამ პარტიას არ მიუღია 2%-ზე უფრო მეტი, თუმცა მუდმივად უკავია მაღალი სახელმწიფო პოსტები და მე იმედი მაქვს, რომ 2016 წელს წერტილი დაესმება საბოლოოდ და ქართული პოლიტიკური რუკიდან საბოლოოდ წაიშლება რესპუბლიკური პარტია და აგრეთვე წაიშლება ნაციონალური მოძრაობაც.

***– ოპოზიციურ ფლანგზე სერიოზული პასიურობაა, რატომ პასიურობთ?***

– საქართველოში, იმის გამო, რომ არ არის თავისუფალი საარჩევნო გარემო, მათ შორის არც თავისუფალი მედია, ეს შთაბეჭდილება შეიძლება ნაწილობრივ იყოს ობიექტური, მაგრამ დიდწილად მაინც სუბიექტურია.

***– რატომაა სუბიექტური?***

– მაგალითისთვის გეტყვით, რომ მე დღეისთვის ალბათ ვარ ის მაჟორიტარი კანდიდატი, რომელსაც ყველაზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული ამომრჩეველთან.

***– და იმის თქმა გინდათ, რომ ეს არ შუქდება?***

– დიახ, ეს არ შუქდება და ქვეყანაში ყველაზე პოპულარული არხი, რუსთავი 2, რომელიც ნაციონალური მოძრაობის პრესცენტრია, ცალცალკე სიუჟეტად აშუქებს ნაციონალური მოძრაობის ყველა კანდიდატის შეხვედრას. ბაქრაძე იყო გორში – ცალკე სიუჟეტია, სანდრა რულოვსი – ზუგდიდში, ცალკე სიუჟეტია. ეს შთაბეჭდილება არ არის ობიექტური და ეს თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია იმ მატერიალურ და მედია რესურსებზე, რომელთაც აკონტროლებს ნაციონალური მოძრაობა.

ზუსტად ის დამოკიდებულებაა „ქართულ ოცნებასა“ და ტელეიმედს შორის, რაც ნაცებსა და რუსთავი 2-ს შორის.

***– თქვენ სანდრა რულოვსი ახსენეთ და ძალიან ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ მას ზუგდიდში მოგების დიდი შანსი აქვს. ამ რეგიონში არ შეხებიათ ის 9 წლიანი მმართველობა?***

– ბევრი მომენტია აქ, ერთი ის, რომ სანდრა რულოვსის იმიჯი, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, პირდაპირ არ ასოცირდება ნაციონალურ მოძრაობასთან. ნაციონალური მოძრაობა ვერ აიღებს იმდენ ხმებს, რამდენსაც სანდრა რულოვსი. ის გაცილებით მეტ ხმას აიღებს, ვიდრე მთლიანად მისი პარტია. მის მიმართ გაცილებით ნაკლები აგრესიაა, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის მიმართ. ასევე ყველაფერი შედარებითია.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ მისი კონკურენტი „ქართული ოცნებიდან“ არის უბრალოდ ძალიან სამარცხვინო კადრი, ძალიან გაუნათლებელი, ძალიან კორუმპირებული და ესეც არის განმსაზღვრელი ფაქტორი. ნაციონალური მოძრაობა დაელოდა, ვის დააყენებდა „ოცნება“ კანდიდატად და ამის შემდგომ დააყენა სანდრა რულოვსის კანდიდატურა. მათ შეარჩიეს ყველაზე უფრო სუსტი წერტილი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარულ ოლქებში და სწორედ იქ წარადგინეს თავიანთი კანდიდატები.

***– მაჟორიტარების ჩანაცვლება დაიწყო „ოცნებამ“.***

– მე ეს ძალიან მიხარია, რადგან ეს ძალიან ჰგავს იმ მოვლენებს, რაც შევარდნაძის მმართველობისას ხდებოდა 2003 წელს, ანუ რყევები, არათავდაჯერებულობა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან „ქართული ოცნება“ არ არის პარტია, ეს არის კლანური წარმონაქმნი. მან კანდიდატები შეარჩია იმის გათვალისწინებით, რომ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი გაჭრიდა. ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტმა გაჭრა 2012-ში და ჯოხები აირჩიეს პარლამენტში. გაჭრა 2013-ში და ჯოხი აირჩიეს პრეზიდენტად. გაჭრა 2014-შიც და ჯოხი აირჩიეს მერად. ახლა ხედავენ, რომ ივანიშვილის ავტორიტეტი აღარ ჰყოფნით და ჯოხების დაყენება სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში პრობლემურია. ეს თანაფარდობა კიდევ უფრო შეიცვლება, რაც უფრო მეტი დრო გავა.



***– რას ფიქრობთ პაატა ბურჭულაძის გაერთიანებაზე?***

– პაატა ბურჭულაძე არის ნაციონალური მოძრაობის ჰოლდინგის წევრი. ამ ბოლო გაერთიანებამ საერთოდ ყველაფერს ფარდა ახადა. პაატა ბურჭულაძის ბლოკში ნაციონალური მოძრაობის ყველაზე აგრესიული ფრთაა თავმოყრილი. აქ ყველანაირი კითხვის ნიშნები მოხსნილია, წერტილი დასმულია, ბურჭულაძის ბლოკი არის ნაციონალური მოძრაობის სატელიტი!

# „მაიმუნო ვირიშვილო, ჩამოდი!“

## ნარმანიამ და გარემოსდამცველებმა ერთმანეთს ვირიშვილები ეძახეს



– მაიმუნი, ვირიშვილი ეს, ულტიმატუმებით საუბრობს!

ამ სიტყვებით მიმართა დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე მუშტის“ წევრს ირაკლი კუპრაძეს, რომელსაც სხდომა დაატოვებინა.

სხდომაზე გარემოსდაცვით საკითხებზე უნდა ემსჯელათ. კონკრეტულად ქალაქის მერს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე მუშტის“ წევრმა ირაკლი კუპრაძემ მიმართა და მოუწოდა, რომ შეხვედრაზე ემსჯელათ კონკრეტულ პრობლემებზე და არ გაეკეთებინათ პოპულისტური განცხადებები.

თბილისის მერმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შენიშვნა მისცა, რომ მათთვის სიტყვის უფლება არ მიუცია და უნდა დაეტოვებინათ შენობა.

თბილისის მერიაში გამწვანების რეგულაციების გამკაცრებაზე მიმდინარე შეხვედრა გაიმართა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და თბილისის მერი ესწრებოდნენ. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს. ისინი მერიისგან მოითხოვენ, თანამდებობები დატოვონ გამწვანეებისა და ეკოლოგიის საქალაქო სამსახურის უფროსმა და მისმა მოადგილემ.

მოგვიანებით თბილისის მერიასთან აქცია გაიმართა, მისი მონაწილეები კი დედაქალაქის მერს მიმართავდნენ შემდეგი ფრაზით – „მაიმუნო ვირიშვილო, ჩამოდი“. მათ მერიის გარშემო ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს. აქციის მონაწილეები თბილისის მერიის მუშაობას აპროტესტებდნენ.

მერიასთან იმყოფებოდნენ ალეკო ელისაშვილი, ნაციონალური მოძრაობის წევრები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

# გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტებს ბოდიშს უხდის

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აბიტურიენტების ჩარიცხვებთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს.

როგორც ცენტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების (ჩარიცხვებისა და გრანტირების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნებამდე სავალდებულოა მონაცემების რამდენიმე ეტაპად შემოწმება, ეს პროცედურა კი ე.წ. წინასწარი ჩარიცხვების განხორციელებასაც გულისხმობს, რომლის შემდეგ რამდენიმე მიდგომით დასტურდება სისტემაში არსებული ყველა მონაცემისა და შედეგის სიზუსტე.

– 23 აგვისტოს, საღამოს, ამ პროცესის მიმდინარეობისას, მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისის გამორთვამდე, აბიტურიენტები, რომლებიც აგზავნიდნენ საკუთარ კოდს ნომერზე 93333, ქულებთან ერთად იღებდნენ იმ მომენტისათვის სისტემაში არსებულ ინფორმაციასაც.

ამის გამო მოკლე ტექსტური შეტყობინების სერვისი დროებით გაითიშა და აღდგა გათიშვიდან ერთი საათის შემდეგ. ამ ეტაპზე აბიტურიენტები მხოლოდ თავიანთ შედეგებს იღებენ სმს-თ, – აცხადებენ ცენტრში.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ბოდიშს უხდის აბიტურიენტებს სამუშაო პროცესში წარმოქმნილი გაუგებრობის გამო და აცნობებს, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები მონაცემების დამუშავების დასრულებისთანავე, სავარაუდოდ, 25 აგვისტოს გამოქვეყნდება. ინტერპრესნიუსი

# გორის ზოოპარკში დათვმა მამაკაცი დატორა



გორის კულტურისა და დასვენების პარკში მდებარე მინიზოოპარკში დათვმა მამაკაცი დატორა.

არსებული ინფორმაციით, გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის მცხოვრები გიორგი ჯაფარიძე, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, შემზღუდავი ჯებირის მიღმა გადავიდა და ამგვარად სცადა გალიაში მყოფი დათვის დაპურება, რა დროსაც, მტაცებელმა მამაკაცს თავის არეში დაზიანებები მიაყენა.

დაზარალებული გორის სამხედრო ჰოსპიტალის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული, თუმცა ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

**ინტერპრესნიუსი**

# აფხაზეთის ოპოზიციამ ხაჯიმბას ახალი პრეტენზიები წაუყენა

მარიამ მჭედლიშვილი

**მცირე პაუზის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ გააქტიურდა ანექსირებული აფხაზეთის ოპოზიცია. მანამდე აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ გამოცვალა მთავრობა, დააანონსა ნარკობიზნესთან სერიოზული ბრძოლა, ასევე გაავრცელა ინფორმაცია ოპოზიციის საბოლოო მარცხის შესახებ.**

ხაჯიმბას ოპონენტებმა ამჯერად ფაქტობრივ პრეზიდენტს შეუსრულებელი დაპირებები გაუხსენეს. წინასაარჩევნო დაპირებების დიდი ნაწილი დაემთხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეთანხმების პუნქტებს, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის დაიდო 2014 წლის აგვისტოში. რაულ ხაჯიმბამ, მირაბ ქიშმარიამ და ლეონიდ ძაპშბამ წერილობით შეათანხმეს რესპუბლიკის შემდგომი განვითარების ძირითადი პრინციპები. ამ საპრეზიდენტო არჩევნებს წინ უძღოდა გამოსვლები ალექსანდრე ანქვაბის წინააღმდეგ, რომელსაც რევოლუცია ეწოდა.

დღეს ოპოზიცია აცხადებს, რომ ამ შეთანხმების არც ერთი პრინციპი შესრულებული არაა. ხაჯიმბას ერთ-ერთი მთავარი ოპონენტი, პარტია ამცახარას ლიდერი ალხას კვიცინია მას დესტაბილიზაციაშიც ადანაშაულებს:

– ხაჯიმბას გუნდი ახდენს ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას. მან ძალაუფლება გადატრიალების გზით ჩაიგდო ხელში და ახლა აღმოჩნდა უუნარო მართვაში. ხაჯიმბას გუნდი 10 წლის განმავლობაში დაკავებული იყო ოპოზიციური საქმიანობით. ადამიანებს იმედი ჰქონდათ, რომ ის რაღაცას შეცვლიდა, თუნდაც, საარჩევნო დაპირებებს შეასრულებდა, მაგრამ ქვეყანა უფსკრულისაკენ სვლას განაგრძობს, პრეზიდენტის დაპირებები კი ფარსია.

აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა უძრავი ქონების, განსაკუთრებით, მიწის საკითხია. აფხაზეთის საზოგადოების უდიდესი ნაწილი წინააღმდეგია, რომ აფხაზეთის უძრავი ქონების ყიდვის უფლება ჰქონდეთ უცხოელებს, ანუ აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე პირებს.

ამცახარას ლიდერის თქმით, ხაჯიმბამ არ შეასრულა დაპირება უძრავი ქონების საკუთრებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სამართლებრივ აქტზე მორატორიუმის გამოცხადების შესახებ.

– აპრილში პარლამენტში შევიდა 2 კანონპროექტი. ერთი უფლებას აძლევდა უცხოელებს, შეეძინათ უძრავი ქონება, მეორე კი კრძალავდა. ამ კანონპროექტებმა ორ ბანაკად გახლიჩა აფხაზეთის საზოგადოება და გამოიწვია ცხარე კამათი. ამის გამო ააფეთქეს დეპუტატ ალმას ჯაპუას ავტომანქანა. ალმას ჯაპუა უცხოელებისათვის საცხოვრებლის მიყიდვის წინააღმდეგი იყო. ეს დანაშაული აქამდე გაუხსნელია, – აღნიშნა ალხას კვიცინიამ.

იგი აცხადებს, რომ შეთანხმებიდან გამომდინარე, პრეზიდენტს არ უნდა დაეშვა ამ კანონპროექტების განხილვა. ამ საკითხების გამოტანამდე, შეთანხმების თანახმად, 2016 წლის 1 აპრილამდე უნდა განხორციელებულიყო უძრავი ქონების ფონდის ინვენტარიზაცია, ხოლო 2015 წლის 1 ოქტომბრამდე – მიწის კადასტრი. რაც არ მომხდარა.




ამცახარას ლიდერის მტკიცებით, ხაჯიმბას არც დემოგრაფიული პროგრამის შემუშავებაზე უზრუნია. ეს პროცესი ამა წლის 1 იანვრამდე უნდა დასრულებულიყო.

არაფერი შეცვლილა ენერგეტიკის სფეროშიც. ამ დარგში უნდა შექმნილიყო დამოუკიდებელი აუდიტი და შექმნილიყო ენერგოსისტემის უსაფრთხოების დოკუმენტი.

– ენგურჰესს საქართველოსთან ვიყოფთ და ჩვენ ნებისმიერ მომენტში შეიძლება უდენოდ დავრჩეთ, – განმარტავს კვიცინია.

ფონდ აპრას თავმჯდომარე ასლან ბჟანია ხაჯიმბას სამშენებლო დარგის ნგრევაში ადანაშაულებს.

– ხელისუფლების არაპროფესიონალური



მოქმედებების შედეგად აფხაზეთში მოიშალა სამშენებლო დარგი, – ამბობს იგი.

ასლან ბჟანია ხაჯიმბას იმასაც საყვედურობს, რომ მოსკოვიდან სრულად არ შემოდის თანხები აფხაზეთის ეკონომიკის ხელშემწყობი საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში. არადა, რუსეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ ამ თანხების აფხაზეთში გადარიცხვა არ შეფერხდებოდა.

ამცახარას ლიდერის თქმით, რესპუბლიკა უმძიმეს დღეშია. ამ სიტუაციაში ოპოზიციური ბლოკი მზადაა, ჩაერთოს ერთობლივი კომისიების მუშაობაში, რათა დაპირებების ნაწილი მაინც შესრულდეს.

---

## ბექა ბასილაიამ ფოთის პოლიციაში სარჩელი შეიტანა




ნაციონალური მოძრაობის ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ბექა ბასილაიამ ფოთის პოლიციაში ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრების დაკავების გამო სარჩელი შეიტანა.

ბასილაიას ინფორმაციით, ახალგაზრდები უკანონოდ იყვნენ დაკავებული.

**ბექა ბასილაია:**

– გუშინ ჩვენი აქტივისტების წინააღმდეგ მთელ რიგ უკანონო ქმედებებს ჰქონდა ადგილი. ნაცვლად იმისა, რომ ფოთის პოლიცია დაკავებული იყოს კრიმინალთან ბრძოლით და აღკვეთილი იქნას ის დანაშაულებები, რაც ქალაქში ხდება, პოლიცია დასდევს ჩვენი პარტიის აქტივისტებს, უპატიოსნეს ადამიანებს, ვინც მხარში მიდგას და საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაში მეხმარება. სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ შევიტანეთ სარჩელი.

ვფლობ ინფორმაციას, რომ პოლიციის სამმართველო და სუს-ი გეგმავენ პროვოკაციებს იმისთვის, რომ ხელი შეუშალონ ჩემს საარჩევნო კამპანიას.

ვაფრთხილებ თითოეულ მათგანს, ღმერთი არ გაუწყრეთ და გუშინდელის მსგავსი უკანონო ქმედებები არ განახორციელონ.

მოვუწოდებ მათ, რომ უკანონობას დაესვას წერტილი, რათა საარჩევნო პროცესი ჩავატაროთ მაღალ დონეზე, ისე, როგორც შეეფერება ქართულ სახელმწიფოს. ასევე მივმართავ ფოთის მერს ირაკლი კაკულიას და ,,ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ირაკლი ხახუბიას, სწორედ იმისთვის, რომ მათი მთავარი ოპოზიციური ძალა, ნაციონალური მოძრაობა იქნეს შესუსტებული, ამის გამო ასრულებს პოლიცია ამ დავალებებს.

ორივეს მივმართავ, იზრუნონ ქალაქში ადამიანის უფლებების დაცვაზე.

---

სამართალი

## მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა დაიწყო

„ადამიანის უფლებათა ცენტრმა" მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს" „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან" აცნობეს, ცენტრმა დაიწყო ახალი პროექტი – „მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა საქართველოში", რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" მხარდაჭერით განხორციელდება.

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მოწმის დაკითხვის ახალი წესის გამჭვირვალე და ეფექტურ ფუნქციონირებას.




კვლევის საფუძველზე გამოვლინდება მოწმის დაკითხვის ახალი წესის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი" შეისწავლის, როგორ მოქმედებს ახალი წესი პრაქტიკაში; რამდენად დაცულია მოწმეთა უფლებები მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვისას; რამდენ საქმეზე მიმართა პროკურატურამ მაგისტრატ მოსამართლეს მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით, მათ შორის – რამდენი საქმე იყო არასრულწლოვნისა და რა საფუძვლით მოხდა სასამართლოსადმი მიმართვა;

რამდენად დასაბუთებულია პროკურატურის შუამდგომლობა და სასამართლოს გადაწყვეტილება; რამდენად დაცულია შეჯიბრებითობის პრინციპი მოწმეთა დაკითხვისას, რამდენად უზრუნველყოფს მოწმის დაკითხვის მოქმედი წესი მოწმეთა უსაფრთხოებას; გაცნობიერებული აქვთ მოწმეებს თავიანთი უფლებები და ა.შ, – აცხადებენ ცენტრში.

მათივე თქმით, პრობლემების იდენტიფიცირების შემდგომ ადამიანის უფლებათა ცენტრი შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა ადვოკატირებასაც საქართველოს პარლამენტთან, იუსტიციის სამინისტროსთან, პრეზიდენტთან და სხვა სამიზნე ჯგუფებთან განახორციელებს.

ამ პროცესში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის".

ცენტრის ინფორმაციით, 20 თებერვალს ძალაში შევიდა მოწმის დაკითხვის ახალი წესი, რომელიც მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან სავალდებულო დაკითხვას გულისხმობს.

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის" შეფასებით, მოწმის დაკითხვის მოქმედი წესი ეწინააღმდეგება შეჯიბრებითობისა და უშუალობის პრინციპს და უგულებელყოფს ნებაყოფლობითი გამოკითხვის როლს სისხლის სამართლის პროცესში.

მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის უფლებამოსილების მხოლოდ ბრალდების მხარისთვის მინიჭებით მნიშვნელოვნად ილახება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი.

არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად, სახელმწიფომ მოწმეთა დაკითხვის წესი ხარვეზებით მაინც დაამტკიცა.

---

## მალხაზ სალაყაია: „სიტყვა „ვაჰაბიზმს" გამართულად ვერც ერთი ბრალდებული ვერ იტყვის"

ტერაქტის მომზადების მცდელობაში ბრალდებულები, აღკვეთის ღონისძიების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ერთ-ერთი ბრალდებულის, ვლადიმერ რუხაძის ადვოკატმა განუცხადა, სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი მან 23 აგვისტოს მიიღო და უკვე მზად აქვს საჩივარი, რომელსაც სააპელაციო სასამართლოში დღის მეორე ნახევარში შეიტანს.

მისივე თქმით, ვლადიმერ რუხაძე შიმშილობას აგრძელებს და ამის გამო მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

რაც შეეხება კიდევ ორ ბრალდებულს – მინდია ვაშაყმაძესა და ჯაბა მელქაძეს, როგორც მათი ინტერესების დამცველმა მალხაზ სალაყაიამ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, ბრალდებულებთან პოზიციების შეჯერების შემდეგ გადაწყდება, გაასაჩივრებენ თუ არა ისინი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მათთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას სააპელაციო წესით.




რაც შეეხება მისი დაცვის ქვეშ მყოფების მიმართ არსებულ ეჭვს, რომ შესაძლოა ისინი ბექა ბექაურთან ერთად ვაჰაბიზმის მიმდევრები ყოფილიყვნენ, როგორც ადვოკატი აცხადებს, საქმის მასალებზე ის კომენტარს ამ ეტაპზე ვერ გააკეთებს.

– რა ვაჰაბიზმის მიმდევრები? – სიტყვა ვაჰაბიზმს ვერ იტყვის ვერც ერთი გამართულად. არ მაქვს უფლება არც სამართლებრივი და არც კოლეგიალური, რომ კომენტარი გავაკეთო.

საქმის მასალებში რაც არის, ეს ყველაფერი დასახვეწ-გასარკვევია და ეს არ არის ასე გამოსაფენი, – განაცხადა მალხაზ სალაყაიამ.

**ინტერპრესნიუსის ინფორმაციები**

---

## შსს-მ ყაზბეგში ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავა

შსს-მ ყაზბეგში ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, უწყების ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, კანონიერი ქურდობის ბრალდებით, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ლ. ბ. სტეფანწმინდის გამშვებ პუნქტში დააკავეს.



– გამოძიებამ დაადგინა, რომ ლ. ბ. 2014 წელს აღიარებული იქნა ე.წ. კანონიერ ქურდად. დაკავებულს ე.წ. ქურდული სამყაროს წევრებთან აქტიური ურთიერთობა ჰქონდა და სარგებლის მიღების მიზნით, ე.წ. ქურდულ გარჩევებში მონაწილეობდა. სამართალდამცველებმა ბრალდებული იმ დროს დააკავეს, როდესაც ის სტეფანწმინდის გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს საზღვრის გადმოკვეთას ცდილობდა, – ნათქვამია განცხადებაში.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება კანონიერი ქურდობის ბრალდებით (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით) მიმდინარეობს.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ვინ მოჭრა ყაზბეგის №22-ში ხეები

## ნინო სულხანიშვილი: „ჩემი გადადგომა პრობლემას არ წარმოადგენს“

– ჩემი გადადგომა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, უბრალოდ, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, სიმართლე გაირკვეს.

ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ, 24 აგვისტოს, თბილისის მერიაში გამწვანების რეგულაციების გამკაცრებასთან დაკავშირებით გამართული შეხვედრის შემდეგ ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნინო სულხანიშვილმა განუცხადა.

სულხანიშვილმა კომენტარი გააკეთა „პარტიზანელი მებაღეების“ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კერძოდ, გადადგეს ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე ნუგზარ კახნიაური. ამ მიზნით ისინი კვირაზე მეტია შიმშილობენ.

ნინო სულხანიშვილის თქმით, მას არ სურს დამნაშავის სტატუსით მოხდეს მისი გადადგომა.



– ჩემი გადადგომა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. უბრალოდ, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ სიმართლე გაირკვეს. არ მოხდეს ისე, რომ ცილისწამებით, დამნაშავის სტატუსით მოხდეს ჩემი გადადგომა. თუ სამართალდამცველი ორგანოები დადებენ დასკვნას, რომ რაიმე გადაცდომას ან სამართალდარღვევას ჰქონდა ადგილი ჩვენი სამსახურის მხრიდან, რა თქმა უნდა, აუცილებლად გადავდგები და ყველა საკითხზე ვაგებ პასუხს, – განაცხადა ნინო სულხანიშვილმა.

მისივე თქმით, აქციის მონაწილეთა ყველა მოთხოვნა მათთვის მისაღებია. კერძოდ, მოხდეს მათი სამსახურის რეორგანიზაცია, ასევე საკანონმდებლო ცვლილებები, რისთვისაც პარლამენტში კონკრეტული რეკომენდაციები გაგზავნილია.

ეს რეკომენდაციები ეხება საკომპენსაციო რგვებს და გარემოზე ზემოქმედების საკითხებს.

– რაც შეეხება გამოძიებას, ჩვენ თვითონ გადავაგზავნეთ მასალა სამართალდამცავ ორგანოებში, რათა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა რაიმე სახის კანონის დარღვევას ადგილი ყაზბეგის გამზირის №22-ში, – განაცხადა ნინო სულხანიშვილმა.

# თსუ-ს მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე შიდსის ცენტრი აშენდება



– თსუ-ს მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე შიდსის ცენტრი აშენდება.

ამის შესახებ შიდსის ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

მისივე თქმით, შიდსის ცენტრის ასაშენებლად ტერიტორიის გამოყოფაზე მთავრობასთან მოლაპარაკებები რამდენიმე წელი მიმდინარეობდა და გადაწყვეტილება მთავრობის დღევანდელ სხდომაზე მიიღეს.

– გუშინ, 23 აგვისტოს შედგა ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე, ეტაპური ჩვენი ცენტრისთვის, მე ვიტყოდი დარგისთვის და მთელი ქვეყნისთვის.

დიდი ხანია უკვე, რამდენიმე წელია მთავრობა ჩვენთან ერთად მუშაობს, რომ ცენტრისთვის ტერიტორია გამოიყოს და ახალი ცენტრი აშენდეს.

საბოლოოდ გაფორმდა ეს გადაწყვეტილება მთავრობის სხდომაზე, ცენტრისთვის გამოიყო 5 ათასი კვადრატული მეტრი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ძალიან მოსახერხებელი ადგილია როგორც პაციენტებისთვის, ისე ექიმებისთვის.

ასევე დადგენილება ითვალისწინებს საპროექტო სამუშაოებისა და ცენტრის მშენებლობის დაუყონებლივ დაწყებას და უმოკლეს დროში დამთავრებას. იმედია, რომ ცენტრი სულ რაღაც ერთ-ორ წელიწადში მიიღებს იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელსაც იმსახურებს და მსოფლიო მნიშვნელობის პროგრამები კიდევ უფრო წარმატებით განხორციელდება, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

მისივე განცხადებით, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ცენტრის აშენება მას შემდეგ გადაწყდა, რაც „ავერსი ფარმასთან“ მოლაპარაკებები წარუმატებლად დამთავრდა.

ცერცვაძის ინფორმაციით, 2009 წელს ფარმაცევტულმა კომპანია „ავერსმა“ მაშინდელ ხელისუფლებასთან კურიოზული გარიგებით შიდსის ცენტრის ტერიტორია ძალიან იაფად შეიძინა.

– ასეთი მნიშვნელობის ცენტრს შეემთხვა ასეთი კურიოზი, 2009 წელს ფარმაცევტულმა კომპანია „ავერსმა“ მაშინდელ ხელისუფლებასთან გარიგებით, ოფიციალური საბაზრო ღირებულების მესამედ ფასად, ძალიან იაფად, შეიძინა ამ ცენტრის ტერიტორია, შენობა-ნაგებობები და მოქმედი ცენტრი დატოვა უძრავი ქონების გარეშე.

ძნელი წარმოსადგენია, ასეთი რამ მსოფლიოში კიდევ სადმე მომხდარიყო, მაგრამ ჩვენთან მოხდა. შედეგად ძალიან გაძნელებულია მუშაობა, საშინელი პირობებია შექმნილი და ჩვენს მედპერსონალს უწევს რთული საქმიანობა, რომ როგორმე არ შეფერხდეს შიდსის, ჩ ჰეპატიტის და სხვა ავადმყოფების მკურნალობა და არ დაეცეს მათი მომსახურების ხარისხი, – განაცხადა თენგიზ ცერცვაძემ.

# გორის რაიონში ადგილობრივის ქერის მოსავალს ოკუპანტები იღებენ

გორის რაიონის სოფელ სობისის განაპირას, დღეს დილიდან შეიარაღებული ფორმიანები გამოჩნდნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, აღნიშნულმა პირებმა სობისში მცხოვრები შალვა ჩილინდრიშვილის კუთვნილი ქერის მოსავლის აღება დაიწყეს.

შეიარაღებულმა პირებმა ჩილინდრიშვილს განუცხადეს, რომ მისი სახნავ-სათესი ფართობი „საქართველოს ტერიტორიაზე არ მდებარეობს“.

– ჩემი ოჯახი წლებია ამ მიწის ნაკვეთს ფლობს. რა თქმა უნდა, ეს საქართველოს ტერიტორიაა და ამჟამადაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს.

თუმცა ოკუპანტები ჯერ კიდევ შარშან მოვიდნენ და გვითხრეს, რომ ჩემი ბაღის ნახევარი ანუ 6 ჰექტარი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა მოქცეული.

მთელი წლის განმავლობაში ვამუშავებდი ბაღს, უამრავი თანხა გავიღე, რას წარმოვიდგენდი, რომ ასე შემომეჭრებოდნენ ბაღში? მოიყვანეს კომბაინი და ჩემი ქერის მოსავალს იღებენ. მე კი ბაღში შესვლის უფლებას აღარ მაძლევენ. ამ ფართობზე დაახლოებით 20 ტონა




მოსავალი უნდა მიმეღო, – განაცხადა შალვა ჩილინდრიშვილმა.

# ბრალდებულ ბექა ბექაურს სახაზინო ადვოკატი დაიცავს



ტერაქტის მოწყობის მცდელობაში ბრალდებულ ბექა ბექაურს სახაზინო ადვოკატი დაიცავს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ბექაურის ყოფილმა ადვოკატმა, მაია ჭრელაშვილმა განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, მასა და ბექაურს შორის პოზიციების შეჯერება ვერ მოხერხდა, რის გამოც ოჯახმა მის მომსახურებაზე უარი განაცხადა.

ჭრელაშვილის თქმით, პოზიციების შეუჯერებლობის გარდა, ასევე იყო გარკვეული გარემოებები, რის გამოც ოჯახმა მასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. მისივე ინფორმაციით, ტერაქტის მოწყობის მცდელობაში ბრალდებულს უკვე ჰყავს ახალი ადვოკატი, რომელიც სახაზინო წესით დაენიშნა.

**ინტერპრესნიუსის ინფორმაციები**

# კაბელების საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოში ორი დამოუკიდებელი დასკვნა მომზადდა

კაბელების საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოში ორი დამოუკიდებელი დასკვნა მომზადდა.

საქმე ეხება აღნიშნული სარჩელის თავდაპირველ ვარიანტსა და შემდგომ შესწორებულ ვერსიას შორის სხვაობას.

სარჩელის შეცვლის კანონიერების დადგენის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც წარმოადგენდნენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, პირველი კოლეგიის მოსამართლე მაია კოპალეიშვილი და მეორე კოლეგიის მოსამართლე ოთარ სიჭინავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოთარ სიჭინავამ განუცხადა, სამუშაო ჯგუფის წევრებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ და შესაბამისად, ჯგუფმა ორი დამოუკიდებელი დასკვნა მოამზადა.

მისი განმარტებით, პლენუმმა უნდა უყაროს კენჭი ორივე დასკვნას და რომელიც მეტ ხმას მოაგროვებს, პლენუმიც მას მიიღებს.

– განსხვავებული მოსაზრებები გვქონდა სამუშაო ჯგუფის წევრებს. პლენუმზე უნდა გავიდეს ორივე დასკვნა, ორივეს უნდა ეყაროს კენჭი და




რომელიც უფრო მეტ ხმას მოაგროვებს, ის იქნება პლენუმის მიერ მიღებული, – აღნიშნა ოთარ სიჭინავამ.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის საორგანიზაციო შეხვედრის გადადების მიზეზი, სავარაუდოდ, აღნიშნული დასკვნა გახდა.

მოსამართლეებს სამუშაო შეხვედრის გადადების შესახებ გიორგი პაპუაშვილმა ადმინისტრაციის მეშვეობით გააგებინა.

# „სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელად დეპუტატ ჯაჭვლიანის წარდგენა კორუფციის ნიშნებს შეიცავს“



Transparency International Georgia

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელად დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის წარდგენა კორუფციის ნიშნებს შეიცავს.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ განცხადებაშია ნათქვამი, 24 აგვისტოს გამართულ საქართველოს მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ ფარგლებში ახალი სახელმწიფო შპს-ს შექმნა იგეგმება, რომლის ამოცანა კურორტ თეთნულდის განვითარება იქნება.

– პრემიერ-მინისტრმა ასევე თქვა, რომ ამ კომპანიას სათავეში სოსო ჯაჭვლიანი ჩაუდგება, რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრი და ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილეა.

სახელმწიფო კომპანიების არსებობა თავისთავად მიღებული პრაქტიკაა განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში. თუმცა, ასევე აღიარებულია მსგავს კომპანიებთან დაკავშირებული კორუფციის რისკები, რაც მათი საქმიანობის სათანადოდ რეგულირების აუცილებლობას წარმოშობს. სახელმწიფო კომპანიების მართვის მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი მათ საქმიანობასა და მენეჯმენტში პოლიტიკური (პარტიული) ჩარევის პრევენციაა.

სახელმწიფო კომპანიებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი კორუფციული საფრთხე ის არის, რომ ეს კომპანიები სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე მმართველ პარტიასთან ან მთავრობასთან დაკავშირებული პირების „დაჯილდოების“ ინსტრუმენტად შეიძლება იქცნენ, ნაცვლად იმისა, რომ მათი საქმიანობა ლეგიტიმური და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ამოცანების შესრულებისკენ იყოს მიმართული.

სახელმწიფო კომპანიის სწორედ ამგვარ ინსტრუმენტად გამოყენების ეჭვს აჩენს ბატონი ჯაჭვლიანის წარდგენა ხსენებულ თანამდებობაზე, რადგან გაურკვეველია, თუ რა კრიტერიუმით შეარჩია ის საქართველოს მთავრობამ.

თუ გავიხსენებთ საპარლამენტო უმრავლესობის ყოფილი ლიდერის დავით საგანელიძის დანიშვნას საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელად, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები ერთგვარი ტენდენციის სახეს იღებს.

შეიძლება ასევე გავიხსენოთ ყოფილი მმართველი პარტიის, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი პოლიტიკოსების დასაქმება თბილისის მერიის საკუთრებაში არსებული კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოებში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მსგავსი ეჭვები გამოთქვა 2015 წელს „თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრის“ შექმნის და მის ხელმძღვანელად ალექსანდრე მარგიშვილის დანიშვნის თაობაზე. მსგავსი გადაწყვეტილების პრობლემურობაზე ისიც მეტყველებს, რომ ცენტრი დაარსებიდან ერთი წლის თავზე გაუქმდა.

სახელმწიფოს კი არ განუხორციელებია მონიტორინგი, თუ რამდენად ეფექტურად დაიხარჯა ცენტრის დაფინანსებისთვის გამოყოფილი 2 მილიონი ლარი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მომავალ თვეში გამოაქვეყნებს დეტალურ რეკომენდაციებს სახელმწიფო საწარმოებში კორუფციის რისკების პრევენციასთან დაკავშირებით. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, რომ სახელმწიფო კომპანიების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მაქსიმალურად გამჭვირვალე პროცესის საშუალებით და ცხადი კრიტერიუმების საფუძველზე იქნეს მიღებული. სხვა შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება როგორც კორუფციის, ისე სახელმწიფო რესურსების არაეფექტურად განკარგვის რისკი, – ნათქვამია განცხადებაში.



# გაიუმჯობესეთ ორგანიზმის მდგომარეობა სტაფილოთი



სტაფილო დიდი რაოდენობით შეიცავს კაროტინს, ეს უკანასკნელი კი ძალიან სასარგებლოა მხედველობისა და იმუნური სისტემის გასაძლიერებლად.

სტაფილო უფრო მეტ სასარგებლო თვისებებს შეიძენს, თუ მას ზეთსა და არაჟანს მოასხამთ და ისე მიირთმევთ, რადგან კაროტინს ორგანიზმი მხოლოდ ცხიმთან ერთად ითვისებს.

კაროტინის გარდა, სტაფილოში ბევრი სასარგებლო ნივთიერებაა, მაგალითად, ბე ჯგუფის ვიტამინები, რომლებიც ხელს უწყობს ნერვული სისტემის, კანის, თმის გაჯანსაღებას; სტაფილო ასევე შეიცავს ვიტამინ ცე-ს, იოდს, კალიუმს, ფოსფორს, სპილენძს, მიკროელემენტებსაც და სხვა ნივთიერებებს. ვიტამინი პე საუკეთესო საშუალებაა უძილობისა და დეპრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად; ე ვიტამინი აფერხებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებასა და დაბერების პროცესს.

მცენარეული უჯრედების დიდი რაოდენობის წყალობით, სტაფილო ორგანიზმიდან აქტიურად გამოდევნის ტოქსინებსა და წიდებს, რითაც ორგანიზმს სიმხნევეს უნარჩუნებს, კანს კი – სასიამოვნო ელფერს.

თუ გსურთ, ჯანმრთელი ღრძილები და კბილები გქონდეთ, ხშირად ჭამეთ სტაფილო. ის ასუფთავებს კბილის მინანქარს საკვები ნარჩენებისგან, ებრძვის კარიესისა და ღრძილების ანთების გამომწვევ მიკრობებს.

გაციებისა და ყელის ტკივილის დროს კარგია ახალგამოწურული სტაფილოს წვენის ყელში გამოვლება. სტაფილოს წვენი თაფლთან ერთად კარგია ხველების დროს, რძესთან ერთად კი ბრონქული ასთმის შეტევებს ასუსტებს. უმი სტაფილო ძალიან სასარგებლოა თირკმელების, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. გახეხილი სტაფილოს ფაფას დამწვრობისა და იარების სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენებდნენ, გაუხეშებულ კანზე კი კვერცხის გულთან გაზავებული წაისვით.

ასევე, სტაფილო ებრძვის კიბოს განვითარებას. ამიტომ, ის, ვინც სტაფილოს რეგულარულად მიირთმევს, ზედმეტ საშიშროებებს აირიდებს თავიდან.

* * *

**წითელი ჭარხალი** – მკურნალობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჭარხალს წარმატებით იყენებდნენ თავიანთ პრაქტიკაში ავიცენა, ჰიპოკრატე, გალენუსი, პარაცელსიუსი, დიოსკორიდე და სხვანი. ანტიკური



საბერძნეთის ექიმები ჭარხლის წვენით მკურნალობდნენ ანემიას, საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და ლიმფური სისტემის პათოლოგიებს.

ამ სამკურნალო საშუალებას უძველესი დროიდან იყენებდნენ არაბები და სპარსელებიც. აღმოსავლური მედიცინის საუნჯეში ჭარხლის წვენით მკურნალობის არაერთი საინტერესო რეცეპტია შემონახული. ჭარხლის წვენის უნიკალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღირებულებას ვიტამინების შემცველობა, კალიუმის, იოდის, რკინის, ცილებისა და უჯრედისის კომბინაცია განსაზღვრავს. ის მდიდარია ბეტაინით, ბეტანინით, ბე1 ვიტამინით, წმენდს ორგანიზმს წიდებისა და მავნე ქოლესტერინისგან, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, ნივთიერებათა ცვლას, მიკროცირკულაციას, ამაგრებს სისხლძარღვებს.

ამ თვისებების გამო ჭარხლის წვენი ძველთაგანვე გამოიყენება ალერგიულ რეაქციათა, შაქრიანი დიაბეტის, ჰიპერტონიული დაავადების, ღვიძლის, სახსრების, ფარისებრი ჯირკვლის, სისხლის სხვადასხვა პათოლოგიის სამკურნალოდ. უკანასკნელი ათწლეულის გამოკვლევებით დადგენილია, რომ წითელ ჭარხალში შემავალი ბეტაინი და ბეტანინი აუმჯობესებს ცილების შეთვისებას და აქტიურად მონაწილეობს ქოლინის წარმოქმნაში. ქოლინი აძლიერებს ჰეპატოციტების (ღვიძლის უჯრედების) ფუნქციას, აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, აწესრიგებს ორგანიზმში ცხიმოვან ცვლას, ხელს უწყობს კაპილარების განმტკიცებას.

ჭარხალში შემავალი ძნელად მოსანელებელი უჯრედისის, პექტინებისა და ორგანული მჟავების წყალობით (საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მათი გადაადგილებისდა კვალად) აბსორბირდება (შეიწოვება და იბოჭება) და ორგანიზმიდან გამოიყოფა მიკრობული წარმოშობის მავნე, შხამიანი ნივთიერებები, მძიმე მეტალთა მარილები, რადიაქტიური იზოტოპები, ჭარბი ქოლესტერინი და ორგანიზმისთვის არასასურველი მრავალი სხვა ნივთიერება.

დიაბეტით დაავადებულთათვის რეკომენდებულია რეგულარულად, დღეში 4-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 1/4 ჭიქა ჭარხლის წვენის მიღება. სასურველია, წვენი უშუალოდ მიღების წინ გამოწუროთ – ახალგამოწურული წვენი ბევრად უფრო სასარგებლოა. იგი ორგანიზმს ავსებს 2,5-ჯერ მეტი აქტიური ჟანგბადითა და ორვალენტიანი რკინით, რომელიც ასე აუცილებელია ნივთიერებათა ცვლისთვის.

თუმცა აღსანიშნავია ერთი ფაქტორიც: ჭარხლის ახალგამოწურულ წვენს ზოგიერთის ორგანიზმი ვერ იღებს. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია, მკურნალობა მცირე დოზით (1 ჩაის კოვზით) დაიწყოთ და თანდათანობით გაზარდოთ 1 ჭიქა დღიურ ულუფამდე. ახალგამოწურული წვენის აუტანლობის შემთხვევაში (თუ თავბრუხვევამ, გულისრევამ, წნევისა და პულსის ვარდნამ, ზოგადმა სისუსტემ შეგაწუხათ), გირჩევთ, გაწურული წვენი 1-2 საათით მაცივარში დააყოვნოთ და ამის შემდეგ მიირთვათ. კარგია ასევე 150-200 გრამი მოხარშული ჭარხლის რეგულარული მიღება სადილად. ეს ბოსტნეული, გარდა იმისა, რომ აუმჯობესებს სისხლის შედგენილობას, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას.

# როგორ ვუმკურნალოთ გაციებულ პატარას

ბავშვის წელიწადში 4-6-ჯერ გაციება ან მწვავე რესპირატორული ინფექციებით დაავადება ნორმადაა მიჩნეული.

ავადმყოფისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომფორტული პირობების შექმნას, ოთახის ხშირად განიავებას და მაღალი ტემპერატურის დროს სიცხის დამწევი პრეპარატების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში (როცა ტემპერატურა 38,5 გრადუსზე მაღლა ადის) გამოყენებას.

1 წლამდე ბავშვის გაცივების შემთხვევაში მშობელმა პედიატრს შემდეგი სიმპტომების არსებობის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს: კანის ფერის შეცვლა, სუნთქვის მოშლა, ხველა, ოფლიანობა, სისუსტე, კვების რეჟიმის დარღვევა და ნებისმიერი სხვა, უჩვეულო სიმპტომი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხეულის ტემპერატურის ცვლილებაზე, გამონაყარის გაჩენაზე, მადის დაკარგვასა და კუჭის მოქმედების დარღვევაზე თვალყურის დევნება. ექიმს უნდა ეცნობოს იმის შესახებაც, თუ ბავშვი შესამჩნევად აღგზნებული გახდა ან პირიქით, მოითენთა, ძალიან დიდხანს სძინავს, ძილში კრთება და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, თუ ტემპერატურა 38,5 გრადუსზე მაღლა აიწევს და 36-ზე ქვევით დაეცემა. გარდა ამისა, თუ ბავშვს 3 დღეზე მეტხანს აქვს 37,1-37,9 გრადუსი სიცხე, ესეც საფრთხილოა, რადგან შეიძლება ნელა განვითარებადი ანთებითი პროცესის (პნევმონია, პიელონეფრიტი და სხვა) სიმპტომი იყოს. ასე რომ, სამ დღეზე მეტხანს სიცხის არსებობის შემთხვევაში, თუნდაც სიცხე 37,1 გრადუსი იყოს, ექიმის კონსულტაცია აუცილებელია.

## რომელი სიმპტომებია განსაკუთრებულად საშიში?

ბავშვის ხშირი ტირილი, სიფერმკრთალე, ცივი ოფლი, მოულოდნელად განვითარებული მოთენთილობა, რასაც ტემპერატურის დაქვეითება ახლავს;

უჩვეულო გამონაყარის გაჩენა; კუჭის მოქმედება (თხიერი განავლით) დღეში 5-ზე მეტჯერ, მრავალჯერადი ღებინება; კრუნჩხვები; გულის წასვლა, ცნობიერების დარღვევა, დასმულ კითხვაზე ბავშვის არაადეკვატური პასუხი; ბავშვის ხმის მოულოდნელი ჩახლეჩა, დაბოხება; სუნთქვის მოშლა; შეშუპების განვითარება, განსაკუთრებით – სახესა და ყელის მიდამოში; მუცლის მკვეთრი ტკივილი; თავის მკვეთრი ტკივილი.

ამ სიმპტომებიდან რომელიმეს არსებობის შემთხვევაში მშობელმა კონსულტაციისთვის პედიატრს უნდა მიმართოს, მაგრამ თუ რომელიმე სიმპტომი მოულოდნელად განვითარდა და მკვეთრად პროგრესირებს, მაშინ ექიმის გამოძახება აუცილებელია, რადგან შეიძლება ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ გაცივება, ეს არის იმუნიტეტის წრთობა გამომწვევთან ბრძოლაში და ბავშვისთვის, რომელსაც რაიმე ქრონიკული დაავადება არ აქვს, განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენს. ასე რომ, დალოდების ტაქტიკა და დაკვირვება ბავშვის იმუნიტეტს გაკაჟების საშუალებას აძლევს. ჩვეულებრივ, მსუბუქი კვება, თბილი სასმელები, დასვენება და „ხალხური საშუალებებით“ მკურნალობა ბავშვის სწრაფად გამოჯანმრთელებისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად საკმარისია.

## როგორ ვუმკურნალოთ ბავშვს გაცივების დროს ხალხური საშუალებებით?

ბავშვისთვის პირველ რიგში ნებისმიერი გამათბობელი პროცედურაა მისაღები: ფეხებზე თბილი აბაზანა, ცხვირსა და გულმკერდზე თბილი საფენები, ცე ვიტამინით მდიდარი, ნოყიერი, თბილი საკვებისა და დიდი რაოდენობით თბილი სითხის მიღება.

„გაჭედილი“ ცხვირის გახსნის მიზნით ცხვირის გამორეცხვის მანიპულაცია არც ისე უსაფრთხოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

სისხლძარღვების შემავიწროებელი „ცხვირის წვეთების“ გამოყენება ცხვირის ლორწოვან გარსს აშრობს და ვირუსს ორგანიზმში ღრმად შესაღწევ გზას უხსნის. ისეთი აგრესიული პროცედურების შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, ხახვის ან ნივრის გაუზავებელი წვენით ცხვირის გამორეცხვა, შესაძლებელია ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევა მოხდეს, რაც ასევე დაავადების შემდგომ პროგრესირებას უწ-



ყობს ხელს.

ცხვირის გამორეცხვას პატარებში შეიძლება ოტიტი (შუა ყურის ანთება) მოჰყვეს, რადგან ბავშვთა ასაკში სასმენი მილის თავისებურების გამო, ცხვირში ჩაწვეთებული საშუალება შეიძლება შუა ყურში მოხვდეს.

ამიტომ, თუ ბავშვს ცხვირში არსებული გამონადენი ადვილად გამოაქვს გარეთ და მშვიდ სუნთქავში, ძუძუს წოვაში (ან ჭამაში) და ძილში ხელს არ უშლის, მაშინ უმჯობესია, ცხვირი არ გამოურეცხოთ.

თუ ცხვირში არსებული გამონადენი ძალიან ბლანტია და ბავშვს მისი გარეთ გამოდევნა უჭირს, მაშინ გათხიერების მიზნით შეიძლება 2-5 წვეთი სუფთა, ოდნავ მარილიანი წყალი ან სოდიანი წყალი ჩავაწვეთოთ.

* * *

ტემპერატურის მატება ორგანიზმის ინფექციასთან ბრძოლის ძირითადი საშუალებაა, რადგან ერთი მხრივ, ტემპერატურის მომატებისას ნივთიერებათა ცვლა ჩქარდება, რისი წყალობითაც ბავშვის იმუნიტეტი უფრო ეფექტურად მუშაობს, მეორე მხრივ კი ტემპერატურის მატებისას ვირუსისა და ბაქტერიის გავრცელების სიჩქარე იკლებს. მშობლები ხშირად მიმართავენ ტემპერატურის ხელოვნურად დაგდებას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პროცედურა სამკურნალო ეფექტს არ იძლევა.

სწორედ ამიტომაა, რომ პედიატრები ტემპერატურის ხელოვნურად დაქვეითებას მხოლოდ 39 გრადუსზე მაღლა აწევის შემთხვევაში გვირჩევენ. ამიტომ, თუ ბავშვს მძიმე ქრონიკული დაავადება არ აქვს, მაშინ უმჯობესია, ორიენტირება მოვახდინოთ არა ტემპერატურაზე, არამედ ბავშვის ზოგად მდგომარეობაზე (გუნება-განწყობილებაზე).

პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს, რა უნდა თავად ბავშვს: თუ სიცხე სწრაფად იმატებს, ბავშვს აციებს და აჟრიალებს, მაშინ პატარას უნდა დავეხმაროთ თბილი ტანსაცმლის, საბნის და ცხელი სასმლის დახმარებით სწრაფად გათბობაში. როცა ტემპერატურა მაქსიმუმს მიაღწევს, შემცივნება გაივლის, მაგრამ კანი შეიძლება ოდნავ გაწითლდეს და შუბლზე ოფლის წვეთები გაჩნდეს. ამ დროს უკვე ბავშვის შეძლებისდაგვარად გაშილიფებაა საჭირო (ასე უფრო გაუადვილდება ცხელების გადატანა). ამავე მიზანს ემსახურება ბავშვის წყალნარევი სპირტით ან ძმრით დაზელა ან თბილი აბაზანის მიღება. ეს პროცედურები ტემპერატურის დაქვეითებას შეუწყობს ხელს.

აუცილებელია იმის ცოდნა, რომ ტემპერატურის მედიკამენტებით მკვეთრ დაცემას მისი მკვეთრი მატება მოჰყვება, რაც კრუნჩხვებს იწვევს. გარდა ამისა, ტემპერატურის ძლიერი ცვალებადობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დატვირთვას საგრძნობლად ზრდის.

თუ ბავშვს ქრონიკული დაავადება აქვს, მაგალითად, გულის თანდაყოლილი მანკი, მძიმე ნევროლოგიური სინდრომი, ქალაშიგა წნევის მატება ან სხვა, ტემპერატურის დაქვეითება, მაშინ უნდა დავიწყოთ, როცა იგი 38,5-39 გრადუსამდე ავა. უპირატესობა ტემპერატურის დაგდების ფიზიკურ მეთოდებს (რაზეც უკვე ვისაუბრეთ) უნდა მივანიჭოთ. თუ სიცხის დამწევი მედიკამენტების მიცემა გადაწყდება, მაშინ უმჯობესია, იბუპროფენისა და პარაცეტამოლის საფუძველზე დამზადებული სანთლების ან სპრეის (ასაკის შესაბამისი დოზით) გამოყენება.

ავადმყოფი ბავშვის ბანაობა შეიძლება და საჭიროცაა, თუ თავად არ არის წინააღმდეგი. ავადმყოფის ბანაობისას აუცილებელ პირობას ორპირი ქარის გამორიცხვა წარმოადგენს.

წყალი უნდა იყოს თბილი, ბავშვის ტემპერატურაზე დაახლოებით ერთი გრადუსით დაბალი, მაგრამ არა უმეტეს, 39 გრადუსისა. აუცილებელია აბაზანაში ცხელი წყლის რეგულარული ჩამატება, რათა წყალი არ გაცივდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის ბანაობა, თუ მას აქვს ღებინება და ფაღარათი, რადგან ეს გამოფიტვის პროფილაქტიკის არაჩვეულებრივ საშუალებას წარმოადგენს.

* * *

როგორც წესი, ექიმები შემოდგომობით გვაფრთხილებენ, რომ გრიპის ეპიდემია კარსაა მომდგარი და აცრების გაკეთებას გვირჩევენ, მაგრამ ეს ყოველთვის როდი იძლევა შედეგს ან ყველას როდი აქვს ვაქცინაციის საშუალება. სამაგიეროდ, იმუნიტეტის გასაძლიერებელ, ხალხურ საშუალებებზე ხელი ნებისმიერს მიუწვდება. ზოგჯერ ისინი ქიმიურ პრეპარატებზე უფრო ეფექტურია და თანაც, ორგანიზმს არასდროს ვნებს.

სასარგებლოა, იცოდეთ

**თხელი და მტვრევადი ფრჩხილების დროს:** გაათბეთ მცენარეული ზეთი, დაამატეთ 3 წვეთი იოდი, 5 წვეთი ლიმონის წვენი, 5 წვეთი ცე ვიტამინი (აფთიაქის) და ჩააწყვეთ ხელები 15-20 წუთი. ეს აბაზანა გაიმეორეთ კვირაში 2-ჯერ. აბაზანის შემდეგ ხელებზე შეიზილეთ ხელისა და ფრჩხილების ნებისმიერი მკვებავი კრემი.

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# უკრაინამ დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი აღნიშნა



უკრაინამ დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავი აღნიშნა.

პრეზიდენტმა პოროშენკომ თავის სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა, რომ რესპუბლიკას დღეს ეკონომიურად ძალიან უჭირს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში პატრიოტული განწყობილებები დომინირებენ. დამოუკიდებლობას მხარს უკრაინელთა 87 პროცენტი უჭერს. ხალხის უმრავლესობა ამაყობს უკრაინული დროშით, ჰიმნით, იმით, რომ უკრაინელია.

– ჩვენ მოვიპოვეთ უმთავრესი – ეროვნული ერთიანობა! ამიტომაც უკრაინელი ერი, ამ სიტყვის პოლიტიკური მნიშვნელობით, შედგა. გამომდინარე აქედან, ერთიანი უკრაინული სახელმწიფო ერთიანი ეროვნული ცნობიერებით შედგა, რაც განვლილი 25 წლის უმთავრესი მონაპოვარია, – თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა იმ გმირობას, რაც უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში უკრაინელმა ხალხმა გამოიჩინა. ფეხზე დადგა ლამის გაპარტახებული უკრაინული არმია, სადაც სადღეისოდ უკვე 250.000 მეომარია. ეს ჯარი არა მხოლოდ თანამედროვე სამხედრო ტექნიკითაა აღჭურვილი. ის პატრიოტული სულითაა განმსჭვალული და მისი ბრძოლისუნარიანობის საიდუმლოც ამაშია.

– სწორედ ამიტომ შევძელით პროექტ „ნოვორისიის" ჩაშლა, რაც რუსეთის მიერ ჩვენი აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონის ანექსიას ითვალისწინებდა. ამიტომ მოვახერხეთ ის, რაც ბევრს შეუძლებლად მიაჩნდა: დონბასში რუსული არმიის წინსვლა შეჩერდა. ახლოვდება დრო, როცა დონეცკსა და ლუგანსკზე უკრაინული დროშა აღიმართება და დროებით ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა ჩვენთან ერთად საზეიმო სუფრაზე ოკუპანტებისგან გათავისუფლებას იზეიმებს, – თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა იმას, რომ უკრაინას ვერავითარი მუქარა და შანტაჟი ვერ შეაშინებს.

– მსურს პუტინს მაიაკოვსკის სიტყვებით მივმართო: „მოსკალო, უკრაინაზე კბილებს ნუ ილესავ!"

პოროშენკოს ამ სიტყვებს შეკრებილთა აპლოდისმენტები მოყვა.

შემდეგ იყო სამხედრო პარადი. კრეშჩატიკზე მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს უკრაინელმა მედესანტეებმა, მესაზღვრეებმა, საზღვაო ქვეითებმა, ეროვნული გვარდიის ნაწილებმა, უშიშროების სპეცნაწილებმა, სამხედრო სასწავლებლების კურსანტებმა.

დამსწრეთა განსაკუთრებული აღტაცება სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებამ გამოიწვია, როცა კიევის მთავარ ქუჩაზე ჩამოატარეს უკრაინული წარმოების ტანკები, ქვემეხები, გრადები, სმერჩები.

ისმოდა „ჩერვონა კალინა," – უკრაინელ სეჩელ მსროლელთა ჰიმნი.

# მიწისძვრა იტალიაში





იტალიის ცენტრალურ ნაწილში მიწისძვრა მოხდა. ამჟამად არსებული ცნობებით, სულ მცირე 60 ადამიანია დაღუპული.

მანამდე, იტალიის ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 150-მდე ადამიანს მაშველები ამ დრომდე ეძებენ.

სტიქიით დაზარალებულ რაიონებში სამაშველო ოპერაცია მიმდინარეობს, ოპერაციაში ჩართული არიან სამხედროები.

6.2 მაგნიტუდის მიწისძვრამ ყველაზე მეტად ქვეყნის ცენტრალური ნაწილი დააზარალა.

ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, იტალიის ქალაქ ამატრიჩეს თითქმის ნახევარი ნანგრევებად იქცა.

მიწისძვრის ეპიცენტრი რომიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 10 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

# ჰილარი კლინტონი ლიდერობას ინარჩუნებს





აშშ-ში საპრეზიდენტო კომპანია გრძელდება. ჰილარი კლინტონის რეიტინგმა 50% მიაღწია. ტრამპს მხარს 40% უჭერს.

მილიარდერი მისის კლინტონის წინააღმდეგ შავი პიარის აგორებას განაგრძობს. ამომრჩევლებთან უკანასკნელი შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ჰილარი კლინტონის ფონდი ფინანსურ მაქინაციებშია გარეული.

– როცა პრეზიდენტად ამირჩევენ, მისის კლინტონი და მისი მეუღლე გისოსებს მიღმა აღმოჩნდებიან, – თქვა ტრამპმა.

ჰილარი კლინტონმა ამ ბრალდებას ცილისწამება უწოდა. მიუხედავად ამისა, ტრამპი პიარის აგორებას განაგრძობს. მან ქალბატონი ჰილარი ახლა ავადმყოფად გამოაცხადა.

– ჰილარი კლინტონის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა! როგორ შეიძლება ასეთ ქალს სახელმწიფო ვანდოთ, – განაცხადა ტრამპმა.

მისის კლინტონმა ეს უმალ გააბათილა. ტელევიზიით გამოსვლისას მან ღია ეთერში შიშველი ხელით კიტრით სავსე კონსერვი გახსნა.

– ამის გაკეთება ღონიერ მამაკაცსაც კი გაუჭირდებოდა! – ასეთია ტელეკომპანია „დოჟდის" კომენტარი.

# ბაიდენი: „ამერიკა ბალტიისპირეთს დაიცავს"

რიგაში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ჩავიდა. ლატვიის პრეზიდენტთან საუბარში მან განაცხადა, რომ აშშ ბალტიისპირეთს დაიცავს.

– ხმები იმის თაობაზე, თითქოს ამერიკა დისტანცირებას აპირებს, სინამდვილეს არ შეეფერება, – თქვა ბაიდენმა.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამერიკული კონტინგენტი ბალტიისპირეთში გაძლიერდება.

– ჩვენ ბალტიის ქვეყნებს რუსეთის აგრესიისგან დავიცავთ, – ამბობს ბაიდენი.



მოამზადა ნიკა თევზაძემ


## განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".



## წვერსაპარსი PHILIPS
50 ლარი 90-ის ნაცვლად





✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

## სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

## შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!
50 ლარად 95 ლარის ნაცვლად



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# საქართველოს თასი სენსაციებით დაიწყო



საქართველოს თასის გათამაშება წელს ახალი ფორმატით ტარდება. გუნდები თითოჯერ ხვდებიან ერთმანეთს და მოედნის უპირატესობა დაბალ ლიგაში მყოფ გუნდებს ენიჭება.

აქედან გამომდინარე, პირველ ეტაპზე რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

**სამგურალი-ტორპედო 1:4**

**წყალტუბო.** 26 მაისი

1:0 ყიფიანი (6), 1:1 ტუღუში (17პ), 1:2 კაპანაძე (43) , 1:3, 1:4 დოლიძე (83, 88)

**სამგურალი:** ხაინდრავა, ჯანაშია, ბიბილაშვილი, კაკუშაძე, ხვადაგიანი (ჩიხლაძე 46), ზ.ენდელაძე, თ.ბანძელაძე, უ.ბანძელაძე, გოგიჩაიშვილი, ყიფიანი (ღონღაძე 58), კანდელაკი (ლაღაძე 73)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ბენაშვილი, კოლინი, გურული, დოლიძე, ა.ენდელაძე (ჭიჭინაძე 58), საღრიშვილი (ქიმაძე 46), მამასახლისი, წილოსანი (მესხი 73), ტუღუში, კაპანაძე

მატჩი აქაც მოულოდნელად დაიწყო – დებიუტი მასპინძლებისთვის იღბლიანი გამოდგა და მე-6 წუთზე ტორპედო პირველლიგელ გუნდთან მდევრის როლში აღმოჩნდა. უშანგი ბანძელაძის მიერ მარჯვენა ფრთიდან მეტოქის კარის გასწვრივ გაგზავნილ ბურთზე მცველებს ლევან ყიფიანმა დაასწრო და ახლოდან ზუსტად დაარტყა. ქუთაისელებმა შეუტიეს და გოლმაც არ დააყოვნა: მე-17 წუთზე თორნიკე კაპანაძის წაქცევისათვის დანიშნული 11-მეტრიანი ბექა ტუღუშმა გამოიყენა –ა 1:1.

ამის შემდეგ მეტოქეები მორიგეობით უტევდნენ ერთმანეთს, საკმაოდ ხშირად, მეტწილად შორიდან ურტყამდნენ კარისკენ, თუმცა არაზუსტად. სტუმრებმა კი შესვენებამდე 2 წუთით ადრე მოახერხეს დაწინაურება. ფლანგური რეიდის შემდეგ ბენაშვილმა ზუსტად ჩააწოდა წყალტუბოელთა საჯარიმოში მყოფ კაპანაძეს, რომლის თავური აუღებელი აღმოჩნდა.

მე-2 ტაიმში ტორპედოელთა უპირატესობა უფრო აშკარა შეიქნა. მიუხედავად რამდენიმე გამოუყენებელი საგოლე მომენტისა, სტუმრებმა საბოლოოდ მაინც დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე. დოლიძეს დუბლის შესრულებაში კაპანაძე დაეხმარა.

**იმერეთი-სიონი 1:2**

**ქუთაისი.** რამაზ შენგელია

0:1 კობახიძე (7), 0:2 ძარია (48პ), 1:2 ქუცურუა (78)

**სიონი:** ილუშენკოვი, ხურცილავა, კასრაძე, სვანიძე, გიორბელიძე, ძარია (უგულავა 66), ჯანელიძე (ლობჯანიძე 60), სანტოს ფერნანდესი, გაფრინდაშვილი, სიხარულიძე, კობახიძე (ფოფხაძე 54)

**იმერეთი:** მეძველია, ხუჭუა, ტიტვინიძე (ტაკიძე 53), კილაძე, ხარაბაძე,კოშკაძე, კოსტიუკი (ქათამაძე 63), ქუცურუა, როსტიაშვილი, ჩაფიძე, მათიშავილი (ბარბაქაძე 31)

**გაძევება:** ჩაფიძე (39)

პირველი გოლი სტუმრებმა მე-7 წუთზე გაიტანეს – სტანდარტულიდან ჩაწოდებულ ბურთზე კობახიძემ ზუსტად ითამაშა – 0:1.

მიუხედავად იმისა, რომ სიონი დიდ უპირატესობას ფლობდა, მე-2 გოლი მე-2 ტაიმში გავიდა. მასპინძლებმა საკუთარ საჯარიმოში უხეშად ითამაშეს და არბიტრმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც ირაკლი ძარიამ ზუსტად შეასრულა – 0:2.

ბოლნისელები კომფორტული ანგარიშით იგებდნენ, მათ თამაშის ტემპი დააგდეს და მასპინძლებმა ანგარიშის შემცირება მაინც შეძლეს. 78-ე წუთზე, იმერლებმა სტუმართა საჯარიმოს სიახლოვეს, ჯარიმა გამოიმუშავეს, რომელიც ქუცურუამ შეასრულა, მან ბურთი ილუშენკოვის კარში პირდაპირ და ზუსტად დაარტყა.

ჩხერიმელა-საბურთალო 2:1

მოულოდნელად ზემო იმერლებმა მოახერხეს უმაღლესლიგელის დამარცხება. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საბურთალო რატომღაც დიდ ყურადღებას არ აქცევს თასს და წინა სეზონშიც ნაადრევად გამოეთიშნენ ბრძოლას.

პირველი გოლი მასპინძლებმა მე-10 წუთზე გაიტანეს, ანგარიში ნიკა ჭკუასელმა გახსნა. ცოტა ხანში თემურ შათირიშვილმა ორამდე გაზარდა ანგარიში. მეორე ტაიმში, საბურთალოელებმა რამდენიმე ხიფათი შექმნეს მეტოქის კართან, თუმცა მხოლოდ ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება მოახერხეს – 83-ე წუთზე თავი გიორგი ფანცულაიამ გამოიჩინა.

პირველლიგელებმა კიდევ რამდენიმე დასამახსოვრებელი გამარჯვებები მოიპოვეს: მარტვილის მერანმა საკუთარ მოედანზე ბათუმის დინამოს უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა მეტოქე.

ლიახვი გორში შუქურას დაუხვდა და ასევე 2:0 დაამარცხა მეტოქე.

მინიმალური ანგარიშით 1:0 იმარჯვა სულორმა. ვანელთა მეტოქე უმაღლესლიგელი ზუგდიდი გახლდათ.

სხვა შეხვედრები ასე დასრულდა: გაგრა-გურია 1:2; ჭიათურა-კოლხეთი (ფ) 0:3; ვიტ-ჯორჯია – ლოკომოტივი 0:1;

# ჩემპიონთა ლიგაზე ცვლილებები იგეგმება



ევროპული მედია აქტიურად საუბრობს მომავალ წლებში ჩემპიონთა ლიგაზე ბევრი ახალი წესის დაგეგმვაზე, რაც გათამაშების ფორმატს მთლიანად შეცვლის.

ზოგი წესი გულშემატკივრებმა დადებითად შეაფასეს, ზოგს კი უარყოფითი და კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა.

გთავაზობთ რამდენიმე მნიშვნელოვან წესს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფორმატს მთლიანად შეცვლის, თუმცა, ჯერ ეს წესები ოფიციალურად დადგენილი არ არის.

ინგლისის, ესპანეთისა და გერმანიის ჩემპიონატებიდან მე-4 ადგილოსანი გუნდები ჩემპიონთა ლიგაზე აღარ გავლენ. სამაგიეროდ, უპირატესობა მიენიჭება იმ გუნდს, რომელსაც მაღალი ბიუჯეტი ან კარგი საფეხბურთო ისტორია აქვს.

ტოპ ლიგებისთვის უფრო მეტი ადგილი იქნება გამოყოფილი ჯგუფურ ეტაპზე, ვიდრე ახლაა.

ჩემპიონთა ლიგის ხელმძღვანელები მატჩების ჩატარებას კვირის ბოლოსაც გეგმავენ.

იტალიის ჩემპიონატიდან ლიგაზე გუნდების რაოდენობა გაიზრდება. სადღეისოდ ამ ტურნირზე ისინი 3 კლუბით გამოდიან.

# ეროვნულ გუნდში ცვლილებებია



საქართველოს საფეხბურთო ნაკრები 5 სექტემბერს 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე პირველ მატჩს გამართავს და მეტოქედ ავსტრიის ეროვნული გუნდი ეყოლება. ვლადიმირ ვაისმა უკვე გამოაცხადა შემადგენლობა, მაგრამ მასში კორექტირების შეტანა მაინც მოუწია.

ვაისის გადაწყვეტილებით, ვენის რაპიდის ქართველი ლეგიონერი გიორგი ქვილითაია ეროვნული ნაკრების წლის პირველ მატჩს გამოტოვებს. ახალგაზრდა ფეხბურთელი ახალ კლუბთან ერთად ვენაში იმყოფება, თუმცა გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ჯერჯერობით ვერ ვარჯიშობს.

მთავარმა მწვრთნელმა ავსტრიასთან გამოძახებულ გაფართოებულ შემადგენლობაში კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა. ეროვნულ ნაკრებთან ერთად, 5 სექტემბრის მატჩისთვის, ოდესის ჩერნომორეცის მცველი, 23 წლის დავით ხოჭოლავა მოემზადება.

სადღეისოდ, ჩვენი ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები:** გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ტორპედო), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), ნუკრი რევიშვილი (უგუნდოდ)

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე, ალექსანდრე ამისულაშვილი (ორივე დინამო თბ), ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), სოლომონ კვერკველია (რუბინი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (ვერია, საბერძნეთი), ზურაბ ცისკარიძე (ტეპლიცე, ჩეხეთი), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა)

**ნახევარმცველი:** ნიკა კვეკვესკირი (გაბალა, აზერბაიჯანი), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), გიორგი აბურჯანია (სევილია, ესპანეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (გენკი, ბელგია), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ლევან ყენია (სლავია, ჩეხეთი), ვაკო ყაზაიშვილი (ვიტესი, ჰოლანდია), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური, გიორგი პაპუნაშვილი (ორივე დინამო თბ)

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო თბ), დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ოთარ მარცვალაძე (ორდაბასი, ყაზახეთი).

საქართველოსა და ავსტრიის დაპირისპირება „დინამო არენაზე“ გაიმართება და 20:00 საათზე დაიწყება.

# 17 წლამდე ნაკრებმა აზერბაიჯანი ორჯერ დაამარცხა



საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა აზერბაიჯანელ თანატოლებთან და ამჯერად 4:1 დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ მანამდე გურამ ასპინძელაშვილის გუნდმა 3:1 სძლია მეტოქეს.

მეორე მატჩმაც ქართველთა უპირატესობით ჩაიარა და მომენტებიც მრავლად შეიქმნა. ჩვენი გუნდიდან გოლებით ზურიკო დავითაშვილი, გიორგი გულიაშვილი (ორჯერ) და ნიკოლოზ ქუთათელაძე გამოირჩნენ, რასაც მეტოქემ მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხა.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მეგრელიშვილი (მამარდაშვილი 41), ჯინჯოლავა (გაბედავა 72), დავითაშვილი (ქუთათელაძე 62), ივანიაძე (გაბუნია 55), გრძელიძე (გულიაშვილი 41), გელაშვილი (ხვედელიძე 41), კაკაურიძე (ბაბუნაძე 41), მექვაბიშვილი (ჯანაშია 62), ჩიქოვანი (ლორთქიფანიძე 41), ჯავახიშვილი (ხარაბაძე 55), კვარაცხელია (კაპანაძე 55)

## შედეგები

**23 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| პლზენი-ლუდოგორეცი | 2:2 |
| ლეგია-დანდალკი | 1:1 |
| მონაკო-ვილიარელი | 1:0 |
| რომა-პორტუ | 0:3 |
| ჰაპოელი-სელტიკი | 2:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ბასილაშვილისა და შაფათავასთვის ამერიკის ღია პირველობა დაიხურა



ამერიკის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც მე-5 ნომრად იყო განთესილი, ავსტრალიელი მეტიუ ბარტონთან სამსეტიან დაძაბულ მატჩში დამარცხდა – 7:6; 2:6; 6:7.

პირველ სეტში ორივე ჩოგბურთელი თავის მოწოდებაზე ყოჩაღობდა და საქმე ტაი ბრეიკამდე მივიდა, სადაც უფრო ზუსტი ბასილაშვილი გამოდგა და 7:3 იმარჯვა.

თითქოს ფავორიტად მიჩნეულ ბასილაშვილს გამარჯვება აღარ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მეორე სეტი ქართველმა ჩოგბურთელმა სუსტად ჩაატარა. მეტოქეებმა თავიდან ორივემ 2-2 მოწოდება აიღეს, შემდეგ კი ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა ზედიზედ 4 გეიმი მოიგო – 6:2.

მესამე სეტი ქართველის უპირატესობით დაიწყო და 3:1 დაწინაურდა. ბასილაშვილმა ისევ ზედიზედ 4 გეიმი წააგო და 3:5 ჩამორჩა. მოწოდებაზე ბარტონი იდგა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ნიკამ მოახერხა და ავსტრალიელ ჩოგბურთელს ეს უპირატესობა აართვა, შემდეგ კი ანგარიშიც გაათანაბრა – 5:5. ჩოგბურთელებმა თითო მოწოდებაც მოიგეს და საქმე ისევ ტაი ბრეიკამდე მივიდა.

ორივე მათგანი თავის მოწოდებას იგებდა, ნიკამ მატჩ პოინტიც მიიღო, მაგრამ ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა ბარტონმა და ჩვენებურიც ამერიკის ღია პირველობას ადრიანად დაემშვიდობა.

ამერიკის ღია პირველობას გამოეთიშა საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა პირველი ნომერი სოფო შაფათავაც. საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ რაუნდში ჩვენებური ამერიკელ აიზა მუჰამადთან 4:6, 4:6 დამარცხდა.

ამერიკელმა ორივე სეტში თითო-თითო ბრეიკი შეასრულა, რაც შეხვედრის მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა. სოფოს მთელი თამაშის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთი ბრეიკპოინტი ჰქონდა და ისიც ვერ გამოიყენა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ავსტრალიური კოლეჯის ადმინისტრაციას ნიანგები მიუყარეს




ავსტრალიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ჰამპტი დუში უცნობმა პირებმა კოლეჯის ტამინმინის ადმინისტრაციის კაბინეტში სამი ნიანგი შეყარეს.

ინციდენტი დილით ადრე მოხდა. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის დევიდ გრეგორის თქმით, ოთხმა სახე დაფარულმა უცნობმა პირმა კოლეჯის შენობაში შეაღწია და ადმინისტრაციის კაბინეტის დათვალიერების შემდეგ შიგნით ნიანგები გაუშვეს. პოლიციელმა ასევე აღნიშნა, რომ ცხოველები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მათ დიდი დრო დაჰყვეს ხმელეთზე და სწორედ ამის გამო გამოიყურებოდნენ ცუდად.

ცხოველების დაჭერაში პოლიციელებს ადგილობრივი რეინჯერი დაეხმარათ, რომელმაც აღნიშნა, რომ რეპტილიებს პირი აკრული ჰქონდათ. მათ შორის ყველაზე დიდი ნიანგის სიგრძემ ორი მეტრი შეადგინა.

პოლიცია დამნაშავეებს ეძებს. მათ ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობისთვის 50 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა ელით.

## ვერა ბრეჟნევა ტაილანდის ბაზრიდან გამოაგდეს

მომღერალი ვერა ბრეჟნევა, რომელიც ტაილანდში კლიპს იღებდა, ადგილობრივი ბაზრიდან გამოაგდეს. ამის თაობაზე ინფორმაცია მან სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ბრეჟნევას თქმით, 2016 წელს ის გადამღებ ჯგუფთან ერთად მუშაობდა სიმღერა „მსოფლიოს სიყვარული გადაარჩენს“ კლიპზე.

– არის კადრები, სადაც მე ხიდზე მივდივარ, ეს ხიდი კი ადგილობრივი ბაზრის ნაწილია. იქიდანაც გამოგვაგდეს, მათ ჩემი ნარინჯისფერი



სარაფანი არ მოეწონათ, – დაწერა მომღერალმა.

როგორც ცნობილი გახდა, სავაჭრო მოედანზე გადაღების დროს ვერა ბრეჟნევას ნახევრად გამჭვირვალე ღია კაბა ეცვა.

მომღერლის თქმით, პირველად გადამღები ჯგუფის გამოძევება კერძო კუნძულიდან სურდათ, თუმცა მისი გუნდის წევრებმა მუშაობის გაგრძელების თაობაზე შეთანხმების მიღწევა შეძლეს.

მომღერლის აკაუნტს ინსტაგრამში 5,7 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

## ამერიკელმა 70 ათასი დოლარი დახარჯა ბარბის სტილის ნივთებში



ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელესის მცხოვრებმა გოგონამ 70 ათას დოლარზე მეტი დახარჯა იმისთვის, რათა ყველა ნივთი, რომლის გარემოცვაშიც მას უწევდა ყოფნა, თოჯინა ბარბისთან ყოფილიყო დაკავშირებული.

34 წლის აზუსა საკამოტომ 140-ზე მეტი თოჯინა შეიძინა, ასევე 40 წყვილი ფეხსაცმელი, 60 ხელჩანთა და ათასობით დოლარი დახარჯა იმაზე, რომ საკუთარი ბინა ბარბის სტილში მოეწყო. იაპონიიდან ჩამოსული გოგონა მანიკიურის ოსტატად მუშაობს და 20 წელი აგროვებდა იმ კოლექციას, რაც ამ თემატიკას უკავშირდება.

საკამოტომ ერთ-ერთ გამოცემასთან საუბარში აღნიშნა, რომ ის სათამაშოებით გატაცებაზე პრაქტიკულად მთელ თავის შემოსავალს ხარჯავს.

– მთელი ჩემი ბინა მოწყობილია ბარბის ატრიბუტიკით, მათ შორის საძინებელი, ხალიჩები, კედლები, ხოლო სხვა დანარჩენისთვის მე მაქვს აქსესუარები და მისაწებლები, – განაცხადა გოგონამ, რომელსაც ინსტაგრამში აქვს საკუთარი გვერდი, რომელიც ასევე ბარბის ეძღვნება.

## უსეინ ბოლტმა პრინც ჰარის გამოწვევა მიიღო

იამაიკელმა სპორტსმენმა უსეინ ბოლტმა ბრიტანეთის პრინც ჰარის გამოწვევა მიიღო, მას სირბილში გაეჯიბროს. ამის თაობაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტვიტერში საკუთარ აკაუნტში დაწერა.

22 აგვისტოს პრინცმა ბოლტს დაბადების დღე მიულოცა და განმეორებითი ერთობლივი გარბენის გამართვა შესთავაზა. პირველად ისინი 2012 წელს გაეჯიბრნენ ერთმანეთს, როდესაც ბრიტანეთის პრინცი იამაიკაში იმყოფებოდა.

– უსეინ ბოლტ, გილოცავ. ახლა როდესაც შენ ოფიციალურად გახდი დიდებული, შესაძლოა, მზად ხარ განმეორებითი გარბენისთვის! 30 წლისთავს გილოცავ, – დაწერა პრინცმა ჰარიმ.

– დიახ, თანახმა ვარ, გავეჯიბროთ ერთმა-




ნეთს და მადლობა მოლოცვისთვის, – დაწერა პასუხად უსეინმა.

წინა გარბენის დროს იამაიკელმა ინგლისელ პრინცს გასწრების საშუალება მისცა. ჯერჯერობით უცნობია მომავალი გარბენის თარიღი და ადგილი.

აღსანიშნავია, რომ 20 აგვისტოს ბოლტი ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მან რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა 100, 200 მეტრზე გარბენსა და ოთხი 100 მეტრზე ესტაფეტაში.

## ქალბატონებო და ბატონებო!

ვთხოვ საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, რომ საქართველოს ისტორია მსოფლიოში ყველასთვის არის ცნობილი და ქართველებზე უთქვამთ, „ქართველები, ღმერთმა ნუ ქნას, ერთ მუშტად შეიკრან, თორემ მათი დამმარცხებელი არავინ იქნება“-ო. საჭიროა მშვიდობა, გაერთიანება და ერთად ყოფნა. გთხოვთ, სანამ არჩევნები ჩატარებულა, გაერთიანება მივანდოთ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს და შემოხაზეთ №3. მაპატიეთ, დავესესხები ბრძნულ სიტყვებს აკადემიკოს, ბატონ ელიზბარ ჯაველიძეს. ქალბატონი ნინო ამერიკასთანაც შეძლებს მეგობრობას და რუსეთთან მეზობლობას და მეგობრობასაც, ნამდვილად იქნება „თანასწორუფლებიანი“.

ქალბატონებო და ბატონებო, გავაკეთოთ ჭეშმარიტი არჩევანი ქალბატონ ნინო ბურჯანაძეზე. ხომ უნდა მოხდეს ახალი ცხოვრების დაწყება საქართველოსთვის, მომავალი თაობებისათვის და გაგრძელდეს მარადიულად. ნათქვამია, ღმერთი სამობითააო და 3 ჩვენთანაა. გისურვებთ ბედნიერებას.

*პატივისცემით, ქართველიშვილი*




## პრესამ კულინარიულ საიდუმლოს მიაგნო

პრესისთვის შემწვარი ქათმის მომზადების რეცეპტი გახდა ცნობილი, რომელიც კენტუკი ფრიდ ჩიკეთის ერთ-ერთ ყველაზე ფასეულ და დაცულ კულინარიულ საიდუმლოდ ითვლებოდა. ეს რეცეპტი ჩიკაგო ტრიბუნმა მოიპოვა. გამოცემამ ის პრაქტიკაში გამოსცადა და დარწმუნდა, რომ მიღებული კერძი პრაქტიკულად არაფრით განსხვავდებოდა საფირმოსგან.

რეცეპტი გამომცემლობას 67 წლის პენსიზე მყოფმა მასწავლებელმა ჯო ლედინგტონმა გაუზიარა, რომლის დეიდა კფც-ს დამაარსებლის, პოლკოვნიკ ჰარლანდ სანდერსის მეორე მეუღლე იყო. შემწვარი ქათმის დასამზადებლად გამოიყენება 11 სახის ბალახი და სანელებლები.

## სოციალური ქსელები ქალთევზას თეძოებიანი ქალების სურათებით აივსო

სოციალური ქსელების ინსტაგრამისა და ტვიტერის მომხმარებლებმა ჩაუშვეს ხეშტეგი სახელწოდებით ქალთევზას თეძოები და მას საკუთარი თეძოების ფოტოსურათების ქვეშ ათავსებენ.

აღსანიშნავია, რომ ეს ბოდიპოზიტიური ფლეშმობი, რომელიც სავსე თეძოების სილამაზის დემონსტრირებას ახდენს, ჩაფიქრებული იქნა 2014-2015 წლებში პოპულარული ხეშტეგის „სინათლე თეძოებს შორის“ საპირისპიროდ.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 25 აგვისტოსთვის



**ვერძი** – ნებისმიერი წამოწყება საეჭვოა. არ არის გამორიცხული, დაუფიქრებელ ნაბიჯს სავალალო შედეგი მოჰყვეს. **კურო** – კონფლიქტური დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. არანაირი შეხვედრა არ დაგეგმოთ. **ტყუპები** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი არ აგცდებათ. **კირჩხიბი** – ახალი ჩანაფიქრის განხორციელება იოლი არ იქნება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის რისკთან არის დაკავშირებული. **ლომი** – ახალი ნაცნობობა თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, ოღონდ მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, ეს როლი უარყოფითი იქნება თუ დადებითი. **ქალწული** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ არასტაბილურია, თუმცა – გამოსწორებადი. თუ არ იზარმაცებთ, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **სასწორი** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **ღრიანკალი** – თამამად და პრინციპულად იმოქმედეთ. არაკეთილისმსურველებს მხოლოდ ამ თვისებების წყალობით განაიარაღებთ. **მშვილდოსანი** – პრიორიტეტების შეცვლა მოგიწევთ. ქალებს სასიამოვნო შეხვედრა გელით. **თხის რქა** – ერიდეთ კონფლიქტს პირად ცხოვრებაში. დღეს დამთმობი და დიდსულოვანი უნდა იყოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ. **მერწყული** – ბედი საჩუქარს გიმზადებთ, რომელიც, სავარაუდოდ, ფინანსებს უკავშირდება. ეჭვიანობა უკუაგდეთ. **თევზები** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 2. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 3. ხელოვნურად მიღებული რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 4. აზერბაიჯანული მაწონი; 5. ფინეთის დედაქალაქი; 7. უწვერულვაშო მამაკაცი; 11. რაიმეს გარდაქმნა, შეცვლა; 13. მოლაპარაკე ფრინველი; 15. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 16. თვისტომი, ახლობელი, თანამემამულე; 18. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში, სადაც გაიმართა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება; 19. ოპტიკური მინა.

**თარაზულად:** 6. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლენა; 8. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული შვეიცარიაში; 9. ქართული ჩაი; 10. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 12. ინდოეთის ეროვნული გმირი; 14. სამკურნალო ტალახით მდიდარი ზღვის თხელწყლიანი ნაპირი; 17. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ლუკას კრანახის ფერწერული ტილო; 20. უნივერსიტეტი პარიზში; 21. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 22. ვულკანიდან მაგმას ამოფრქვევა დედამიწის ზედაპირზე; 23. სპორტის სათამაშო სახეობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. დოფინი; 2. ტილი; 3. ალგორითმი; 4. ანეტო; 5. ხორშაკი; 8. „გაბალა“; 9. თითლიბაზი; 12; კრეოლი; 14. როსინი; 16. იუანი.

**თარაზულად**: 1. „დეპორტივო“; 6. ფლამინგო; 7. ფრეგატი; 9. თაგორი; 10. სოდა; 11. „ბაგიათი“; 13. ბერნი; 15. არლანი; 17. სინდისი; 18. „ყოჩები“; 19. ავანსი; 20. ვიკინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. კვირიკე; 2. „ფატიმა“; 3. თერაპევტი; 4. ვირთხა; 5. ფორსინგი; 7. „საბა“; 11. ტრაპერი; 13. ვარაუდი; 15. პირსი; 16. კომლი; 18. ნანდუ; 19. რუპია.

**თარაზულად**: 6. ვერსია; 8. ბარნელა; 9. ტერტერა; 10. ინფანტი; 12. „დაფნე“; 14. ბატონი; 17. ტერენკური; 20. გრეგორი; 21. ესკიზი; 22. დევიზი; 23. მიკიტანი.

# ლიზა ბაგრატიონი ბათუმში სოლო კონცერტს გამართავს



27 აგვისტოს მომღერალი ლიზა ბაგრატიონი ბათუმში სოლო კონცერტს გამართავს.

საღამოზე შესრულდება კომპოზიტორისა და დირიჟორის ნიკოლოზ რაჭველის ორიგინალური საორკესტრო ვერსიები ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსების შესრულებით.

კონცერტზე აჟღერდება გია ყანჩელის კლასიკური და სასიმღერო ჟანრის ნაწარმოებები „ტანგოს მაგიერ“ გიორგი ცაგარელის შესანიშნავი შესრულებით. საკონცერტო პროგრამაშია ცნობილი მელოდიები „ყვითელი ფოთლები“, „ცვივა თოვლის ფანტელი“, „ის აქ არის“, „განშორება“, რომელსაც შეასრულებენ სოლისტები ალტისტი გიორგი ცაგარელი და მესაყვირე დავით შამანაური.

ლიზა ბაგრატიონი სოლო კონცერტზე შეასრულებს ბიძინა კვერნაძის, ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებებს, რომანსებსა და მსოფლიო კინომუსიკის შედევრებს.

# გიორგი ნადიბაიძე „ახალ ტალღაზე“ გაემგზავრა



ერთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველო სიმღერის საერთაშორისო კონკურსს „ახალ ტალღას“ დაუბრუნდა.

ნუცა ბუზალაძის გამარჯვების შემდეგ, კონკურსი მისმა ორგანიზატორებმა იურმალადან სოჭში გადაიტანეს. სოჭში საქართველოს სახელით კონკურსში „ახალი ქართული ხმის“ ერთ-ერთი ბოლო სეზონის გამარჯვებული გიორგი ნადიბაიძე წარადგენს.

კონკურსი წელს 3-9 სექტემბერს სოჭში ჩატარდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# მებაჟეებმა გარდაბანში ვერცხლის ზოდები აღმოაჩინეს



შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 23 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „გარდაბანი“, არადეკლარირებული ვერცხლის ზოდები (საერთო წონა 3,500 გრამი) აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, ტვირთი ბაქო-თბილისის მატარებლის ელექტრომექანიკოსისთვის განკუთვნილი ოთახის დათვალიერებისას, ინსტრუმენტების სათავსოში აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 4,467 ლარი შეადგინა.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, მოქალაქეს სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 4,467 ლარის ოდენობით.

ინტერპრესნიუსი

# სამგლოვიარო განცხადებები

## ჩვენი საყვარელი მარუსა მასწავლებელი



საქართველოს დამსახურებული პედაგოგი მარუსა მურვანიძე იყო ფოთის მე-2 საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი. ქალბატონი მარუსა გამოირჩეოდა თავისი ერუდიციით, ქიმიის ღრმა ცოდნით და უანგაროდ ემსახურებოდა მოსწავლეთა განათლების საქმეს. მისი ყოველი ნაბიჯი: კულტურული ქცევა, საუბარი, ადამიანებთან ურთიერთობა, სანიმუშოდ და მისაბაძად ითვლებოდა. მას მკაცრ, პრინციპულ, მომთხოვნ, მაგრამ ამავე დროს სამართლიან და გულთბილ ადამიანად იცნობდნენ. მისი სიყვარული ბავშვების მიმართ ყველაფერში იგრძნობოდა. იგი მათ ჩაცმულობაზეც კი ზრუნავდა. მოსწავლეები დიდი მორიდებით და სიყვარულით ვიყავით მის მიმართ გამსჭვალულნი.

პენსიაზე გასვლის შემდეგ თავის სიყვარულს ახლობლების, მეგობრების, ყოფილი მოსწავლეების და უბრალოდ ადამიანების მიმართ ლამაზ ლექსებში აქსოვდა. თავმდაბლობის გამო წუხდა, რომ ამ ცხოვრებას 99 წელი შემორჩა. ამბობდა: „მრცხვენია, ცოცხალი რომ ვარო“. მარუსა მასწავლებელი, სამწუხაროდ, „ცხოვრებამისჯილად“ თვლიდა თავს.

ჩვენ, ყოფილი მოსწავლეები, განვიცდით, რომ მის 100 წლის იუბილეს ვერ აღვნიშნავთ და სათანადო პატივს ვერ მივაგებთ სათაყვანებელ ადამიანს, რომელმაც სკოლის დამთავრების 50, 55 წლის იუბილეზე გულთბილი წერილები გამოგვიგზავნა, მოგვილოცა და თავისი ძლიერი სული შორიდან შთაგვბერა.

ღმერთმა ინებოს, რომ მისი სული სამოთხეში ამყოფოს მისთვის ძვირფას პიროვნებებთან, რომ იქიდან დალოცოს თავისი ერთადერთი შვილი, შვილიშვილები, მათი შვილები და სრულიად საქართველო.

ფოთის მე-2 საშუალო სკოლის
1958-59 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# ქოლდფლეი საქართველოში ჩამოდის




ცნობილი ბრიტანული როკ ჯგუფი ქოლდფლეი მთელ მსოფლიოში საკონცერტო ტურნეს მართავს და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. ჯგუფის კონცერტები სრული ანშლაგებით მიმდინარეობს.

ქოლდფლეისთან თანამშრომლობს ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ჯგუფი საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს. ინფორმაციას საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ერთ-ერთი წევრი, იუმორისტი ვანო გუმბერიძე სოციალურ ქსელში ავრცელებს:

– რას იტყვით, 30 სექტემბერს თბილისში ქოლდფლეი რომ ჩამოვიდეს? პ.ს. არავითარი ფეიქი ამბავი და ფეისბუქის ფეიქი ივენთები. ძალიან სერიოზული და სანდო წყაროა.

გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილიც:

– 2016 წლის სექტემბრის ბოლოს, თბილისში, დადასტურებულად შემიძლია გითხრათ. მაქვს პირველწყაროებიდან ინფო.

ჯგუფის საქართველოში დაგეგმილ კონცერტთან დაკავშირებით ორი ლოკაცია იკვეთება – თბილისის და ურეკი.

ამჟამად ქოლდფლეი საკონცერტო ტურნეს მართავს. მის ოფიციალურ ვებ გვერდზე სექტემბერში საქართველოში კონცერტის ჩატარების შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებული. ქოლდფლეის სექტემბრის დასაწყისში მხოლოდ სამი კონცერტი აქვს დაანონსებული და სამივე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

# ტერ შტეგენი ბარსელონას პირველი მეკარე გახდება



მას შემდეგ, რაც კლაუდიო ბრავო მანჩესტერში გაემგზავრა, ბარსელონას პირველი მეკარე სავარაუდოდ გერმანელი მარკ ანდრე ტერ შტეგენი გახდება. ბარსელონამ უკვე შესთავაზა ტერ შტეგენს ახალი 5 წლიანი კონტრაქტი და გერმანელი მეკარე ამ წინადადებას დათანხმდა.

წინა სეზონებში ტერ შტეგენი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის და ესპანეთის თასის თამაშებზე იცავდა ბარსელონას კარს, წელს კი შესაძლოა ის ბარსელონას კარის დარაჯად ყველა ტურნირზე მოგვევლინოს.

ჯერჯერობით უცნობია, რა როლი ექნება იასპერ სილისენს, რომელსაც ბარსელონას ამ დღეებში ოფიციალურად გაიფორმებს.

სილისენი, სავარაუდოდ, ბარსელონას მეორე მეკარე იქნება.

# ინტერმა შესაძლოა ახლად შეძენილი ფეხბურთელი გაყიდოს



მილანის ინტერში შესაძლოა საკმაოდ უჩვეულო ფაქტი მოხდეს. დაახლოებით ერთი თვის წინ მილანელებმა ფენერბახჩეს მცველი კანერ ერკინი იყიდეს, მაშინ როდესაც გუნდის მწვრთნელი რობერტო მანჩინი იყო. ინტერის ახალი თავკაცი ფრანკ დე ბური ერკინის ინტერში ყოფნას აუცილებელს არ თვლის და ხელმძღვანელობას მისი გაყიდვის თხოვნით მიმართავს.

ადვილი შესაძლებელია, რომ თურქმა ფეხბურთელმა ინტერი ისე დატოვოს, რომ ამ გუნდის მაისურით არცერთი შეხვედრა არ ჰქონდეს ჩატარებული.

ერკინის მიმართ ინტერესს ესპანური ბეტისი იჩენს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ლუის ენრიკეს 100 გამარჯვებამდე ერთი მოგება აკლია




ბარსელონას თავკაცს, ლუის ენრიკეს, ბლაუგრანას მწვრთნელის რანგში 1 გამარჯვება აშორებს 100 მოგებამდე.

ენრიკეს მხოლოდ 1 გამარჯვება აშორებს პეპ გვარდიოლას რეკორდული 100 გამარჯვების გამეორებამდე, რომელიც ახლანდელი მანჩესტერ სიტის მწვრთნელმა, 2008-12 წლებში მოახერხა.

განსაკუთრებით გასაოცარი კი ისაა, რომ ენრიკეს ამ ყველაფრის გაკეთება გვარდიოლაზე 13 მატჩით ადრე შეუძლია. ეს მაშინ მოხდება, თუ ბარსელონა მოახერხებს კვირას ბილბაოს დამარცხებას.

ენრიკეს ასევე ამ ყველაფრის გაკეთება შეუძლია უფრო მეტი გატანილი და უფრო ნაკლები გაშვებული გოლითაც.

სტატისტიკის მიხედვით, პეპის გუნდმა 100 გამარჯვების მოპოვება 339 გატანილი გოლით მოახერხა, ენრიკეს ფორმაციის ბარსელონამ კი 99 გამარჯვების განმავლობაში უკვე მოახერხა 359 გოლის გატანა.

პეპს საკუთარი გუნდის მიერ მე-100 გამარჯვების მოპოვების შემდეგ გაშვებული ჰქონდა 108 გოლი, ენრიკეს ბარსელონას კარის აღება კი, მეტოქეებმა ჯერჯერობით, მხოლოდ 91-ჯერ მოახერხეს.

რაც შეეხება ამ გამარჯვებების განმავლობაში მოპოვებულ ტიტულებს, როგორც ენრიკეს, ასევე პეპს, 8 ტიტული ექნებათ მოგებული.

პეპმა საკუთარი მე-100 გამარჯვების აღების შემდეგ, მესამე სეზონი 10 ტიტულით დაამთავრა, ამის გაუმჯობესება კი ლუჩოს მხოლოდ მაშინ შეეძლება, თუ ბარსელონა წელს კოპა დელ რეის, ლა ლიგას და ჩემპიონთა ლიგას მოიგებს. ეს კი ბარსელონას 2016-17 სეზონის გუნდისთვისაც კი საკმაოდ რთულად შესასრულებელი რამ იქნება.

მოამზადა მიხეილ ფორჩხიძე

## პროგრამა

ხუთშაბათი
25 აგვისტო

07.00 დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ეგვიპტე" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 ზღაპარი. "ლურჯი სინათლე" 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.10 ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.30 მხ/ფ "**ბედნიერი გილმორი**"(ა.სენდლერი) 14.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 15.00 დ/სერ. "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 დ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. მზის შტორმი" 20.00 მოამბემოამბის სტუმარი 21.30 ტ/ფ 21.55 **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა პლეი ოფი" განმეორებითი შეხვედრა. "**პაოკი**"/**სალონიკი**/ – "**დინამო**"/**თბილისი**/ 00.00 მხ/ფ "**ჯაშუშთა თამაში**" (ბ.პიტი) 02.00 მხ/ფ "**გორილები ნისლში**"(ს.უივერი)

08.00, 14.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 10.00"გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "**ნევერლენდი**" I ნაწ. 12.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 17.00 დ/ფ "კოფი ანანი" 18.30 ტ/სერ. "**ჩრდილში მდგომნი**" 19.30"ტელებლოგი" 20.00"მოამბე" (5 ენაზე) 21.00"ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00, 01.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 23.00"მოამბე" (5 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**დახურული სკოლა**" 07.00, 14.40 სერ. "**ფიცი**" 08.00, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**ბამბის ველი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 11.20 სერ. "**ჟუჟუნები**" 12.30 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 8 სერ. 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ – 5**" 23.00 სერ. "**სპარტაკი**"– 3" 6 სერ. 00.00 ქ.მხ/ფ "**პატარძლები**" 02.15 მხ/ფ "**იპოვე ჭეშმარიტება**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 12.30 სერ. "**გაბრიელა**" 08.45, 09.15 სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**"1ს 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45, 19.45, 20.05 სერ"**შენი ზოდიაქოს ფერი**" 22.00 ქ.მხ/ფ "**ივანიკა და სიმონიკა**" 23.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 00.00 ქერის უბანი 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 ან/სერ. - "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 0.30 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00, 2.30 სერ. "**ძვლები**" 14.10 მხ/ფ "**ბეჭდების მბრძანებელი**" 17.30 სერ. "**მსახიობი მამა**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 21.30 მხ/ფ "**ბინძური არამზადა შეიმი**" 23.30 სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

06.15 სჯანი-დედამიწის გარე ცივილიზაციები 06.30 პატერიკი-რა არის ბედნიერება 06.35 დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" 06.50 ქართული ალბომი 07.20 დ/ფ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველებ 08.30 "განთიადი" კოლაჟი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები "წმინდა მიწა" 12.10 მხ/ფ "**დედუნა**" 13.30 საყმაწვილო ენციკლოპედია 14.00 დ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" 15.05 ღვთის სახლი "მამაწმინდა" 15.25 ქართ. ან/ფ 15.45 დ/ფ "უდროობის გმირი-არზაყან ემუხვარი" 17.20 ჩვენი ფონდი "მღვდელმონაზონ ანდრიას მოღვაწეობის შესახებ" 18.10 დ/ფ "ბერი პაისი მთაწმინდელი" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები "მაია თომაძე" 20.40 ძილი ნებისა "ასურელი მამები" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ლექციები მეფუტკრეობაზე-დედა ფუტკარი 22.20 ჩვენი საგანძური "ყანჩაელის სავანე" 22.35 დ/ფ "უჯარმა-ნაშენებითა უზომოთა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი "ბოლქვაძეები" 23.40 გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი ნატა ბურჯანაძე" 00.30 დ/ფ "სამეგრელო-ლეტამის მღვიმე" 01.00 დ/ფ "სამეგრელო-გორდის მღვიმე" 01.25 მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" IX სერ.

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ზოგადი თერაპია**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 "ღამის კონტაქტი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05, 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.55, 19.05 სერ. "**მოლოდინის სია**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.00 სერ. "**ჩემი ერთადერთი ცოდვა**" 21.50 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.45 სერ. "**მახე**" 23.30 სერ. "**მიშკა იაპონჩიკი**"

პროგრამა იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**25 აგვისტოსთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2788

ევრო — 2.5739

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9836

100 რუსული რუბლი — 3.5383

## ამინდის პროგნოზი 25 აგვისტოსთვის




## 23 აგვისტოდან

**წიგნი სიყვარულისა**

წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი, მანონ ლესკო




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 30 აგვისტოდან




ერნესტ ჰემინგუეი

**განუყრელი დღესასწაული**

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 25 აგვისტოდან

**ძველი გულებისა და ხმლისა**

აკა მორჩილაძე

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## ფილიპინელი მეთევზე 10 წელი საწოლის ქვეშ ინახავდა 100 მილიონი დოლარის ღირებულების მარგალიტს

ფილიპინების კუნძულ პალავანზე მცხოვრებმა მეთევზემ იპოვნა მარგალიტი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი მარგალიტის წოდების მოპოვების პრეტენდენტია, და რომელიც სავარაუდოდ, დაახლოებით 100 მილიონი დოლარი ღირს. მამაკაცმა ის 10 წლის წინ იპოვა, მაგრამ მისი ჭეშმარიტი ღირებულება არ იცოდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ პუერტო-პრინსესის მცხოვრებმა ძვირფასი ქვა 2006 წელს ქარიშხლის დროს იპოვა, მისი ნავი გიგანტურ პერლამუტის წარმონაქმნს წამოედო. მან 34 კილოგრამიანი მარგალიტი საწოლის ქვეშ დამალა, ვინაიდან ის მას საკუთარ თილისმად მიიჩნევდა.



ფილიპინელმა სხვებისთვის ქვის ჩვენება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც მისი ქოხი დაიწვა. მეთევზემ მარგალიტი ტურიზმის საკითხების მუნიციპალურ სამმართველოში მიიტანა.

– ჩვენ ნანახმა გაგვაოგნა. საჭიროა, რომ გემოლოგები დაგვეხმარონ მის სერტიფიცირებაში. ახლა მის აუთენტურობის დადასტურებას ველით გემოლოგიური ინსტიტუტიდან, – განაცხადეს ტურიზმის საკითხების ოფისში.

მეთევზის მიერ ნაპოვნი მარგალიტი თავის გაბარიტებითა და წონით ხუთჯერ აღემატება მარგალიტს, რომელიც მანამდე ითვლებოდა რეკორდსმენად. ადრე ყველაზე დიდ მარგალიტად აღიარებული იყო შვიდკილოგრამიანი „ალაჰის მარგალიტი“, რომელიც ასევე ცნობილია „ლაო-ცზის მარგალიტის“ სახელით და ისიც ასევე ფილიპინებზე იქნა აღმოჩენილი.

ქალაქის ხელისუფლებას სურს, რომ ძვირფასი ქვა პუერტო-პრინსეში დატოვოს და ის ღირსშესანიშნაობად აქციოს და ამით კიდევ უფრო მეტი დამსვენებლები მოიზიდოს. უცნობია, მის მპოვნელს გადაუხდიან თუ არა რაიმე საფასურს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



ექიმი უკმაყოფილო სახით ეუბნება პაციენტს:

– ძალიან ცუდად გამოიყურებით! ხომ გითხარით, რომ დღეში 10 სიგარეტზე მეტი არ მოწიოო.

– მახსოვს, ექიმო, მაგრამ იმ ადამიანისთვის, რომელსაც ცხოვრებაში სიგარეტი არასოდეს მოუწევია, 10 ღერი სიგარეტი, დამეთანხმებით, ცოტა არ არის.

●●●

სასამართლოზე პროკურორი თავის პირველ მოწმეს, ხანდაზმულ ქალს იძახებს და დაკითხვას იწყებს:

– ქალბატონო, თქვენ მე მიცნობთ?

– რა თქმა უნდა, გიცნობ. მე თქვენ ჯერ კიდევ პატარაობიდან მახსოვხართ. სიმართლე გითხრათ, თქვენ მე იმედი გამიცრუეთ. მატყუარა ხართ, ცოლს ღალატობთ, ადამიანებით მანიპულირებთ და მათ ზურგს უკან ათასგვარ სისაძაგლეს ლაპარაკობთ. თქვენ საკუთარი თავი დიდ ადამიანად წარმოგიდგენიათ, იმიტომ, რომ უტვინო ხართ. თქვენ, უბრალოდ, პატარა ბიუროკრატი ხართ.

შოკირებული პროკურორი დაიბნა და შემდეგ დარბაზის მეორე მხარეს მიუთითა და ეკითხება:

– იმ ადვოკატს თუ იცნობთ?

– რა თქმა უნდა, ვიცნობ და თანაც ბავშვობიდან. ის ზარმაცი, აუტანელი და ალკოჰოლიკია. ვერავისთან ამყარებს ნორმალურ ურთიერთობას, ხოლო მისი საადვოკატო კანტორა ერთ-ერთი ყველაზე უარესია. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ცოლს ერთბაშად სამ ქალთან ღალატობს, სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი თქვენი ცოლია.

ამ დროს მოსამართლემ პროკურორსაც და ადვოკატსაც თავისთან მიუხმო და ხმადაბლა ეუბნება:

– რომელიმე თქვენგანმა ამ ქალს რომ ჰკითხოს, მიცნობს თუ არა, ციხეში ამოვალპობ.

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– ცოლად გამომყვები?

– ის ყმაწვილი, ვისაც მე ცოლად გავყვები, მამაცი და საზრიანი უნდა იყოს!

– რა, უკვე აღარ გახსოვს, როგორ გადაგარჩინე, წყალში რომ იხრჩობოდი?

– მართალია, მამაცი, ხარ, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საზრიანიც ხარ.

– და რას ფიქრობ, ნავი ვინ გადააბრუნა?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## 26 აგვისტოდან

ბორის აკუნინი
გრიგოლ ჩხარტიშვილი

**სასაფლაოს ამბები**




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## რომა ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩა




იტალიის დედაქალაქი რომი მიმდინარე სეზონში ჩემპიონთა ლიგის მატჩებს ვერ იხილავს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ადგილობრივი გუნდი რომა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვერ გავიდა.

რომას მეტოქე პორტუგალიური პორტო იყო და იტალიელები ამ დაპირისპირებაში ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ მათ საკუთარ მოედანზე გამანადგურებელი მარცხი იწვნიეს 0:3.

უკვე შეხვედრის დასაწყისში ბრაზილიელმა მცველმა ფელიპემ პორტო დააწინაურა. ამის შემდეგ რომას მოედნიდან ორი ფეხბურთელი გაუძევეს და 55-ე წუთის შემდეგ რომაელები 9 კაცით აგრძელებდნენ თამაშს. პორტომ რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენა და დარჩენილ დროში კიდევ ორი გოლის გატანა შეძლო. წლევანდელ სეზონში იტალიას ჩემპიონთა ლიგაზე მხოლოდ ორი გუნდი, იუვენტუსი და ნაპოლი ეყოლება.

## ისკოს რეალიდან წასვლა არ სურს



მადრიდის რეალის ნახევარმცველმა ისკო ალკორკონმა რამდენიმე კლუბი უარით გაისტუმრა, რადგან მას რეალიდან წასვლა არ სურს.

ისკოს ყიდვა იტალიურ გუნდებს მილანს და იუვენტუსს უნდოდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, მათი სურვილი განუხორციელებელი დარჩება. ისკოს რეალთან კონტრაქტი 2018 წელს ეწურება და ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რეალმა მას კონტრაქტი გაუხანგრძლივოს.

ზინედინ ზიდანმა ასევე განაცხადა, რომ ისკო მისი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და ის არ იყიდება.

ისკო მადრიდის რეალში 2013 წელს გადავიდა, მანამდე კი მალაგას ღირსებას იცავდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პიანინოების, როიალების მწარმოებელი გერმანული ფირმა; 2. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრი წყაროს რაიონში; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა; 8. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. სასულიერო პირთა უმაღლესი წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 1. აეროპორტი კიევში; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. საზეიმო სვლა, პროცესია; 9. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. მონასტერი დუშეთის რაიონში; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა-აზიაში; 15. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 17. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 18. ქალაქი მუზეუმი საქართველოში; 19. ნავების, იახტების სადგომი ნავსადგურში; 20. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

